აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№49 (24.929) ხუთშაბათი, 19 - 20 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, შიდამთიან რაიონებში - 18-23, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

ბელგიის სამეფოში ვიზიტით მყოფმა საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან ორმხრივი შეხვედრა გამართა. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. „გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა და ადმირალმა რობ ბაუერმა სამხედრო კუთხით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები მიმოიხილეს და პრიორიტეტებსა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს“, - აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

* * *

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების დაწყების თარიღი იცვლება. „თუ რომელიმე საკრებულოში ჩატარდება შუალედური არჩევნები, გამოკლებული მაჟორიტარი წევრის ნაცვლად ამ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის უფლებამოსილების ვადა უნდა დაიწყოს ცესკოს მიერ საბოლოო შემაჯამებელი ოქმის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მეთერთმეტე დღეს“, - განაცხადა პარლამენტარმა გურამ მაჭარაშვილმა საკომიტეტო მოსმენაზე.

* * *

„სტრატეგია აღმაშენებელის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ პარტია, საქართველოს პარლამენტის 93-ე მუხლის თანახმად, „ქართულ ოცნებას“ მომავალ სასესიო სხდომაზე ევროინტეგრაციის საკითხზე საპარლამენტო დებატებს სთავაზობს. „მივმართავ ბატონ კობახიძეს, მობრძანდით პარლამენტში... ვნახოთ, ვის დაუჯერებს ხალხი“, - განაცხადა ვაშაძემ ბრიფინგზე.

* * *

პარტია „საქართველოსთვის“ საპარლამენტო გუნდის წევრები - გიორგი ხოჯევანიშვილი, მიხეილ დაუშვილი და ანა ბუჩუკური ბრიუსელში ევროპარლამენტარებს - ვიოლა ფონ კრამონს და მარკეტა გრეგოროვას შეხვდნენ. საუბარი შეეხო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს, ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისთვის საქართველოს მიერ დემოკრატიული რეფორმების განხორციელების აუცილებლობას. პარტია „საქართველოსთვის“ წევრებმა ხაზი გაუსვეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აუცილებლობას, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის გარანტს. დეპუტატებმა ევროპარლამენტარებს პარტიის სამომავლო გეგმები გააცნეს.

მოამზადა
ია შველიძემ

დავით გაბაიძე: 2024 წლის ბოლოსთვის უმაღლესი საბჭო შინაარსობრივად და თვისობრივად ახალი ინსტიტუცია უნდა გახდეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური და საკომუნიკაციო სტრატეგიების პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ნიკ ბერესფორდი და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ქეთევან კვინიკაძე დაესწრნენ

აღსანიშნავია, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს 2021-2024 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში სამი მიმართულებაა გამოყოფილი. ესენია: კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანობის გაზრდა, აჭარის მთავრობის ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება და ორგანიზაციული სისტემის გაძლიერება. რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საბჭოს 2021-2024 წლების საკომუნიკაციო და სამოქმედო გეგმას, ასევე, სამ მიმართულებას მოიცავს. ესენია: საბჭოში ინფორმაციის უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა და შიდა ორგანიზაციული კულტურის შექმნა, ინკლუზიური გარე საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება და საბჭოს რეპუტაციის ამაღლება.

- დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში გვქონდა ორი ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. ამ დოკუმენტებზე მუშაობამდე უმაღლესმა საბჭომ ძალიან დიდი გზა გაიარა. თქვენ იცით, რომ 2017 წელს მიღებული იქნა კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. ამ კონსტიტუციური კანონის საფუძველზე, 2018 წელს ჩვენ მივიღეთ კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელმაც უმაღლესი საბჭო გააძლიერა ბევრი მიმართულებით და განსაკუთრებით აღჭურვა ის ყველა იმ თანამედროვე ინსტრუმენტით და ბერკეტით, რომელიც როგორც მაკონტროლებელ ორგანოს გააჩნია სხვა ქვეყნების მაგალითზე. გარდა ამისა, 2019 წელს მივიღეთ უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტი, რომელმაც ეს ინსტრუმენტები, პრაქტიკულად, კიდევ უფრო დააკონკრეტა, რომ გამოყენებისათვის პრაქტიკული ყოფილიყო. 2020 წელს ჩვენ მოვიპოვეთ გაეროს განვითარების პროგრამის გრანტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საჭიროების კვლევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და ამ კვლევის შედეგად, 31 რეკომენდაციის საფუძველზე, მომზადდა ის ორი დოკუმენტი, რომელმაც უმაღლესი საბჭო უნდა გახადოს კიდევ უფრო ძლიერი და, რაც მთავარია, მყარი ინსტიტუცია, ეს ყველაფერი კი უნდა განხორციელდეს ისე, რომ უმაღლესი საბჭოს სტაბილური განვითარება, მისი ღიაობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ინსტიტუციური სიძლიერე არ იყოს დამოკიდებული ერთ კონკრეტულ პოლიტიკოსზე, პოლიტიკურ ძალაზე თუ ერთ კონკრეტულ მოწვევაზე. ამ მიზნით, უკვე ამ სტრატეგიის

იხ. გვ-7 ჭვ.

ირაკლი ღარიბაშვილი იენს სტოლტენბერგს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში ორდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდა. შეხვედრა გენერალური მდივნის საცხოვრებელ რეზიდენციაში გაიმართა

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას, რაც ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია. „მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ალიანსთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობაზე, რომლის შედეგადაც საქართველო ეფექტიანად იყენებს გაწევრიანების გზაზე არსებულ ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს. ხაზი გაესვა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი როგორც ალიანსის, ასევე, პარტნიორი ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერას და მათთან მჭიდრო თანამშრომლობას. დადებითი შეფასება მიეცა ალიანსში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს, კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს, როგორც ალიანსის მტკიცე და სანდო პარტნიორის, როლი და მისი მნიშვნელოვანი კონტრიბუცია როგორც გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, ასევე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს პროგრესი და მისი მისწრაფება სათანადოდ იქნება ასახული ალიანსის შემდგომ გადაწყვეტილებებში როგორც ქვეყნის მისწრაფებების პოლიტიკური მხარდაჭერის, ასევე პრაქტიკული შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით. შეხვედრაზე მიმოიხილეს ნატოს მადრიდის სამიტის მოსამზადებელი საკითხები და მოლოდინი. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და უკრაინის ომს, რაზეც პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა ქართველი ხალხის სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ. ალიანსის გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. საქართველოს პრემიერმა გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა პირადი ძალისხმევისთვის და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლაში არსებითი როლის შესრულებისთვის“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელ პირებთან მაღალი დონის შეხვედრები გამართა. ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს, ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას, ასევე, ევროკომისარს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეის შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს განაცხადის განხილვის პროცესზე, მათ შორის, ევროკომისიის კითხვარზე, რომლის ორივე ნაწილი საქართველომ ვადაზე ადრე შეავსო, აგრეთვე, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესზე.

ია შველიძე

შეხვედრები გრძელდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუვაძის ინიციატივით, შეხვედრები შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან გრძელდება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე მირიან ქათამაძე, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, სოფლების - ჭალისა და ტაკიძეების მოსახლეობას შეხვდნენ და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებზე მიაწოდეს ინფორმაცია. სტუმრებმა ისაუბრეს იმ პრობლემებისა და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე, რაც ამ ეტაპზე ორი სოფლის მცხოვრებთ აწუხებთ. ესაა: წარმოებული თამბაქოს რეალიზაციაში ხელშეწყობა, თაგინურის მთაში მისასვლელი საავტომობილო გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა, მთებში დენის მოხმარებაზე კონტროლის გამკაცრება, საზაფხულო საძოვრებზე ვეტერინარების მიმაგრება.

რიგი პრობლემები სამუშაო ვითარებაში გადაიჭრა.

საგზაო სამუშაოები დაიწყო

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში წელს 100-ზე მეტ ლოკაციაზე კეთილმოეწყობა შიდა საუბნო გზები, დაიგება 1000 კუბურ მეტრზე მეტი ბეტონის საფარი

5 საცხოვრებელ სახლთან და 15 უბანში გაიყვანენ ახალ საავტომობილო გზას.

კონკურსში გამარჯვებული ფირმების ხელმძღვანელები, ინდმეწარმეები მუშაობას უკვე შეუდგნენ. მიმდინარე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე სოფელ ლომანაურში გაეცნენ. აქ ორ ლოკაციაზე ინდმეწარმე ოლეგ ასანიძე მუშაობს.

- წელს დღვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებსა და დასახლებულ უბნებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 180 000 ლარი დაიხარჯება, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

ენმ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ და მაგალითად 7 მაისს, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე 24 ადამიანის დაკავებას ასახელებენ. ამასთან დაკავშირებით, მათ ბრიფინგი გამართეს და დაკავებისას პოლიციელების სამხრე კამერით გადაღებული, ასევე პოლიციის მანქანებში დაფიქსირებული კადრების სასამართლოსთვის წარდგენა მოითხოვეს. უმაღლესი საბჭოს წევრის „ნაციონალური მოძრაობიდან“ გია აბულაძის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სასამართლომ ამ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ენმ-ის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ მტკიცებულებების მიჩქმალვას ცდილობენ.

- 7 მისს 24 ადამიანი დააკავეს, მათ შორის, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საკრებულოს წევრები, რაც იყო პოლიტიკური რეპრესიებით მოტივირებული. ახლა ცდილობენ, შეთითხნილი ბრალდებებით ბრალი წაგვიყენონ და სასამართლოზე მოახდინონ გავლენა. დაკავებისას ძალიან დიდი შეცდომები და სისტემური დარღვევები გამოვლინდა, რომელიც დაფიქსირებულია როგორც პოლიციელების სამხრე კამერებზე, ასევე პოლიციის მანქანებში გადაღებულ კადრებზე. არის პოლიციის შენობაში გადაყვანის კადრებიც. სასამართლომ დაკმაყოფილა შუამდგომლობა, რომ ეს მტკიცებულებები წარმოადგინოს პოლიციამ, თუმცა დღემდე ისინი არც საქმეში დევს და მათ არც ჩვენ გვაძლევენ. ახლა ამ მტკიცებულებების განადგურებას ცდილობენ, ზეწოლას ახდენენ რიგით პოლიციელებზე, რომ ყალბი ჩვენება მისცენ სასამართლოს. მოვუწოდებ მათ, არ შეასრულონ ეს უკანონო დავალება, - განაცხადა გია აბულაძემ.

„ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს უარყოფენ და ოპონენტებს დაუდასტურებელი ფაქტების გავრცელებაში ადანაშაულებენ. მათი თქმით, პოლიცია კანონის შესაბამისად მოქმედებდა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრის „ქართული ოცნებიდან“ დავით ბაციკაძის განცხადებით: „როდესაც მიდის ძიება, საწინააღმდეგო მტკიცდება. ყოველთვის არის ფაქტები, მტკიცებულებები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს. ენმ ცდილობს დაგვაბრალოს ის, რასაც თავად აკეთებდა. ეს არახალია და ყველამ კარგად იცის.“

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ სახალხო დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკრედიტებულ საელჩოებს საქმის მონიტორინგში ჩართვისკენ მოუწოდა.

ანკა ჩხიკვაძე

ბათუმი - ევროპის საუკეთესო ფარული მარგალიტი

ევროპაში პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations ბათუმი ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტად დაასახელა. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში „საუკეთესო ფარული მარგალიტები,“ ბათუმი ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და სხვა ევროპული ქვეყნების ტურისტულ ადგილებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

„ბათუმი - ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და გასაოცარი ტურისტული მიმართულება ევროპაში, წელს ევროპის ფარულ მარგალიტებს შორის აღმოჩნდა,“ - ასე იწყებს ბათუმზე სტატიას European Best Destinations-ი. „საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, აჭარის დედაქალაქი მთელი წლის განმავლობაში მოსანახულებელი ადგილია. სასიამოვნოა სეირნობა ძველი ქალაქის ცენტრის ისტორიულ ქუჩებში ან ველოსიპედით სეირნობა, ლაშქრობა თუ კანიონინგი ახლომდებარე აჭარის მთებში, ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ბოტანიკური ბაღის მონახულება თუ ბათუმის სანაპიროზე ან ზღვის ხედის მქონე გამაჯანსაღებელ სასტუმროში ნებივრობა. მდიდარი ისტორიითა და მემკვიდრეობით, მსოფლიოში უნიკალური მუზეუმებითა და ერთ-ერთი გაბედული არქიტექტურით მთელ ევროპაში, ბათუმი ასევე არის გამორჩეული ადგილი გასტრონომიისა და ღვინის მოყვარულთათვის. ბათუმი იდეალური ადგილია ზაფხულში მოგზაურობისთვის, მაისსა და ივნისში ალუბლის ყვავილის სურნელის ქვეშ ისეირნებთ, შეგიძლიათ შეუთავსოთ ერთმანეთს ქალაქში დასვენება და სანაპიროზე გარუჯვა, ველნესი და შოპინგი. შემოდგომა ბათუმის პარკებსა და აჭარის ბუნებას ათასფერად აფერადებს და ალბათ, წელიწადის საუკეთესო დროა ქალაქიდან ბუნებაში გასვლისათვის წყვილისათვის, ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად. ახალი მოდური სასტუმროები, რომლებიც ყოველდღე იხსნება, აზიისა და ევროპის fusion რესტორნები, rooftop ბარები ყველაზე წარმოუდგენელი შენობების თავზე, დიზაინერთა მაღაზიები და განსაკუთრებული ღამის ცხოვრებით, ბათუმი ბევრად მეტია, ვიდრე ჩამალული მარგალიტი ევროპაში - ის გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო City Break მიმართულება ევროპაში“ -ნათქვამია სტატიაში.

European Best Destinations-ის რეიტინგებს ეხმაურება წამყვანი მედიაგამოცემები Forbes USA და Conde Nast Traveler-ი. გამოცემები ბათუმის, როგორც ევროპის საუკეთესო ფარული მარგალიტის შესახებ სტატიებს აქვეყნებენ.

European Best Destinations-ი ევროპის წამყვანი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ევროპაში კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობა-პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა. მისი მთავარი პორტალი European Best Destinations.com, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ვებგვერდია ევროპაში, მოგზაურებს სხვადასხვა ტურისტული მიმართულების შესახებ აწვდის ინფორმაციას. 2020 წელს, European Best Destinations -მა ბათუმი თბილისთან ერთად, ევროპის უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებად დაასახელა.

ანკა ჩხიკვაძე

უკრაინა

სულ მცირე, შვიდი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და ექვსი დაიჭრა უკრაინის დონეცკის რეგიონში 17 მაისს განხორციელებული რუსული თავდასხმების შედეგად. ინფორმაციას რეგიონის გუბერნატორი პავლო კირილენკო „ტელეგრამის“ საკუთარ არხზე ავრცელებს. მისი თქმით, მარიუპოლსა და ვოლნოვახაში დაღუპულთა რაოდენობა უცნობია.

ცნობისთვის, დონეცკი აღმოსავლეთ დონბასის რეგიონის ნაწილია, სადაც რუსეთი თავისი ძალების კონცენტრირებას ახდენს. უკრაინაში შეჭრამდე, დონბასის დიდ ნაწილს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები უკვე აკონტროლებდნენ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, მან საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან განიხილა რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესი და „აზოვსტალიდან“ მეომრების ევაკუაცია.

„საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან არსებითი და ხანგრძლივი დიალოგი მქონდა. ჩვენ განვიხილეთ სანქციების მეექვსე პაკეტი, რომელსაც ევროკავშირი ამზადებს, ასევე, რუსეთთან მოლაპარაკების პროცესი და ჩვენი გმირების „აზოვსტალიდან“ ევაკუაცია. ევაკუაციის მისია გრძელდება, მას ჩვენი სამხედრო და დაზვერვის ოფიცრები ხელმძღვანელობენ. ჩართული არიან ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო შუამავლები,“ - აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, საფრანგეთის პრეზიდენტს უკრაინის ევროინტეგრაციის ნაბიჯებზე და ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოთხოვნის განხილვის პროცესზეც ესაუბრა.

* * *

რუსულმა ძალებმა ქალაქ დნიპროზე 2 სარაკეტო დარტყმა განახორციელეს, რის შედეგადაც ერთი ქალი დაშავდა. ასევე, განადგურდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტი. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „საგანგაშო ღამე და მოუსვენარი დილა. მტრის თავდასხმა დნიპროზე. ჩვენი საჰაერო თავდაცვის დანაყოფებმა ერთი რაკეტა ჩამოაგდეს. ნამსხვრევები კერძო ეზოში ჩამოვარდა. ქალი დაშავდა“, - წერს დნეპროპეტროვსკის რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალენტინ რეზნიჩენკო „ტელეგრამში“. მათივე ინფორმაციით, რაკეტის ჩამოვარდნამ ორი სახლი დააზიანა, ხოლო ერთი რაკეტა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტს მოხვდა, რის შედეგადაც განადგურდა.

* * *

რუსი ოკუპანტები უკრაინის მასშტაბით აგრძელებენ სარაკეტო დარტყმებს სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოველდღიურ ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, რუსული ძალები აგრძელებენ უკრაინის ჯარების საარტილერიო პოზიციებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვას ჩერნიგოვისა და სუმის ოლქების სასაზღვრო დასახლებებში. ლოგისტიკური მხარდაჭერისა და დანაკარგების დანაყოფების შესავსებად, რუსმა აგრესორმა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან იარაღი და სამხედრო ტექნიკა გადმოიტანა,“ - აცხადებენ გენერალურ შტაბში. მათივე ცნობით, დონეცკის მიმართულებით რუსული ძალები აგრძელებენ შეტევას ლიმანის, სევეროდონეცკის, ბახმუტის, ავდიივკასა და კურახივის მიმართულებებით.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ყოველთვის მოსახლეობასთან და არა – მხოლოდ წინასაარჩევნოდ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოში წარმომადგენლობითი ორგანო 24 წევრს ითვლის. მმართველი პარტია 14 წევრითაა წარმოდგენილი. საკრებულოს მმართველი ბირთვი მათი რიგებიდანაა არჩეული. დაკისრებულ მოვალეობას მეექვსე თვეა, ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარე ***რენარ ბოლქვაძე.***

- ბატონო რენარ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ჯაჭვურადაა გადაბმული. ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ისევ გისოსებს მიღმა რჩება. სააკაშვილის გათავისუფლების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბრალდება წაუყენეს მისი გუნდის მთავარ იდეოლოგ ნიკა გვარამიას. როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ პროცესისადმი?

- უპირველესად, მადლობას გადავუხდი ჩემს ამომრჩეველს გამოცხადებული მაღალი ნდობისთვის. მინდა დავარწმუნო, რომ ეს ნდობა ბოლომდე გამართლებული იქნება. რაც შეეხება ქვეყნის მესამე პრეზიდენტის პატიმრობას, გეტყვით, რომ ის სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლიანად იხდის სასჯელს, კანონი ყველასთვის ერთია, ნიკა გვარამიამ კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიყენებული ექვსი მილიონი ლარის ზარალის გამო მიიღო სასჯელი. მეც ვფიქრობ და მოსახლეობის დამოკიდებულებაცაა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერი დანაშაულისთვის თითოეული მოქალაქე აგებს პასუხს.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძის ინიციატივით, მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. საკრებულოს წევრები ყველა შეხვედრას ესწრებიან. მისი არსი რაა?

- შეხვედრების არსი ისაა, რომ ხელისუფლება მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულია ყოველთვის, ჩვენ ვისმენთ ყველა პრობლემას და ვეხმარებით მათ მოგვარებაში. მათთან ვართ ყოველთვის და არა, როგორც ოპონენტები ამბობენ, მხოლოდ წინასაარჩევნოდ.

- უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, ბუნებრივია, საქართველოს მოსახლეობაზე გავლენას ახდენს. რამდენადაც ვიცით, მოხალისე უკრაინაში საბრძოლველად ხულოდანაც გაემგზავრა...

- ომი, ზოგადად, მსოფლიოზე ახდენს უარყოფით გავლენას და, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაზეც. საქართველომ კარგად იცის ომის სისასტიკე და ვდგავართ მოძმე უკრაინელი ხალხის გვერდით. ვგმობთ ყოველგვარ ძალადობრივ დაპირისპირებას. რაც შეეხება ხულოელ მოხალისე ნადიმ ხმალაძეს, როგორც ქვეყნის დანარჩენი მოხალისეები, გმირულად იბრძვის.

- ახლად არჩეულმა საკრებულომ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის ინიცირება შეძლო. ხომ არ დაგვისახელებთ პროექტს, რომელმაც მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლები გაგაერთიანათ?

- ბევრი ინიციატივა გვაქვს, მაგრამ აქცენტი გადამაქვს ყველასთვის მნიშვნელოვანზე - მუნიციპალიტეტში სასპორტო კომპლექსის მშენებლობაზე. ინიციატივა კომისიის სხდომაზე განიხილეს და მიეცა მსვლელობა შემდგომი რეაგირებისათვის. დარწმუნებული ვარ, დაბაში მალე გვექნება მაღალი სტანდარტების სასპორტო კომპლექსი, რაც წლების განმავლობაში უმაღლესი დონის შეჯიბრებებზე მოპოვებული ყველაზე მეტი ჯილდოთი დაიმსახურეს ჩვენმა სპორტსმენებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოჭიდავეების, მაგიდის ჩოგბურთელების, მძლეოსნების და მოჭადრაკეების მიღწევები.

> *„ინიციატივა კომისიის სხდომაზე განიხილეს და მიეცა მსვლელობა შემდგომი რეაგირებისათვის. დარწმუნებული ვარ, დაბაში მალე გვექნება მაღალი სტანდარტების სასპორტო კომპლექსი, რაც წლების განმავლობაში უმაღლესი დონის შეჯიბრებებზე მოპოვებული ყველაზე მეტი ჯილდოთი დაიმსახურეს ჩვენმა სპორტსმენებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოჭიდავეების, მაგიდის ჩოგბურთელების, მძლეოსნების და მოჭადრაკეების მიღწევები*

- ოპოზიციური სპექტრიდან ყველაზე მეტად რომელი პარტიის წარმომადგენლები რეაგირებენ უარყოფითად თქვენ მიერ ინიცირებულ პროექტებზე?

- დღევანდელ საკრებულოში უმრავლესობა იმ რაოდენობითაა წარმოდგენილი, რომ ყველა ჩვენს პროექტს საკმარისი მხარდაჭერა და შემდგომი მსვლელობა აქვს, ოპოზიციისთვის კი, რომელსაც თითქმის აღარ აქვს მხარდაჭერა მოსახლეობისგან, უფრო მომგებიანი იქნებოდა, მეტად რომ იფიქრონ ამომრჩეველზე და არა - პოლიტიკურ ქულებზე ხმამაღალი და არაფრისმომცემი განცხადებებით.

- თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ოპოზიციამ ინიცირებული პროექტის მათი პროექტით ჩანაცვლება სცადა?

- ამ მოწვევის საკრებულოში ოპოზიციისგან წარმოდგენილი არცერთი ინიციატივა არ დაფიქსირებულა.

- ოპოზიციამ სხდომებზე დასწრებაზეც უარი განაცხადა...

- ოპოზიცია ყოველგვარი არგუმენტის გარეშე მოქმედებს - როცა უნდათ, ესწრებიან სხდომებს, ხშირ შემთხვევაში კი „ისვენებენ“ ან სხვა საქმით არიან დაკავებულნი.

- სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საკრებულოში თქვენი არჩევის შემდეგ მოქალაქეთა აქტიურობა გაზრდილია...

- სტატისტიკის კლებასა თუ მატებაზე უფრო საინტერესო ისაა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო 24 საათის განმავლობაში მზადაა ამომრჩეველთა წინადადებების მოსასმენად და შესაბამისი რეაგირებისთვის, პრობლემების მოგვარებისთვის.

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების საქმიან ურთიერთობებზე დიდადაა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, გლობალური პრობლემების გადაჭრა დიდ კავშირშია. რამდენიმე მაგალითს თუ დაასახელებთ, როცა შეთანხმებულმა მოქმედებამ სასურველი შედეგი გამოიღო?

- მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს ერთად გვაქვს აღებული ვალდებულება მოსახლეობის წინაშე. ალბათ ხედავთ სოციალურ ქსელებში მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივის შესაბამისად ყოველკვირეულ შეხვედრებს სოფლებში, სადაც ერთად არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები, ასევე ხულოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წევრები. ვისმენთ მოსახლეობის პრობლემებს, შემდეგ ერთად ვაანალიზებთ და ერთიანი გადაწყვეტილების საფუძველზე გვარდება პრობლემა. ეს არის შეთანხმებული მოქმედება და ერთიანი შედეგი.

- რამდენად აქტიურია საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობა იმ ოლქების ამომრჩეველთა პრობლემების გადაჭრაში, რომლებმაც მათ ნდობა გამოუცხადეს?

- სოფლად შეხვედრების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მაჟორიტარის გარეშე, ისინი აქტიურად მუშაობენ ადგილზე გამოკვეთილი ნებისმიერი პრობლემის უმოკლეს დროში მოსაგვარებლად და ეს ეხება ყველა მაჟორიტარულ ოლქს.

- თავად ვაშლოვანელთა მაჟორიტარი ხართ. რა გლობალური საკითხებია, რომელთა გადაჭრა ჩაფიქრებული გაქვთ?

- უპირველესად, ვარ მაჟორიტარი და მერე - საკრებულოს თავმჯდომარე, ვაშლოვანში დავიბადე, გავიზარდე და ყველა პრობლემა ვიცი, რაც აწუხებს სოფელს. ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის პრობლემა, სანიაღვრეები, გზის მოვლა-შენახვის სამუშაოები, ნაპირსამაგრი და ფერდსამაგრი კედლების მშენებლობა. ვაშლოვანის მთაში დასასრულებელია გზა, მოსაგვარებელია მთის სასმელი წყლით მომარაგება და ელექტროგადაცემის ახალი მაგისტრალის აშენება.

- ხულო უნიკალური ბუნებით ყველას ყურადღებას იპყრობს. წარმომადგენლობით ორგანოში გარემოს დამცველთა რიგებიდან მოხვდით. ხმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ხართ არჩეული. გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მიზნობრივად გამოყენება რა ადგილს დაიჭერს წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის მუშაობაში?

- ცნობილი ციტატით გიპასუხებთ: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“.

- თქვენ შესახებ ჭორებსაც აგორებენ. მათზე რამდენად რეაგირებთ?

- მადლის კეთების სანაცვლოდ ხარკს არ ვითხოვ, რაც შეეხება ჭორებს, არასდროს ვუსმენ, არ მაწუხებს მათზე ფიქრი.

- ხულოელი კაცი სტუმარს განსაკუთრებულად აფასებს. თანამედროვე გამოწვევების ფონზე, ამ ტრადიციის შესანარჩუნებლად რა არის მთავარი?

- სტუმარი ღვთის საჩუქარია, თუ ახალმა პოზიციამ ეს საჩუქარი გამიზარდა, უფლის მადლიერი ვარ, ტრადიციის დაცვა ჩემთვის მნიშვნელოვანია, სადაც უნდა ვიყო, უპირველესად, ჯერ ტრადიციებით გაზრდილი მთიელი ვარ და შემდეგ - საკრებულოს თავმჯდომარე.

- სტუმარი, მოყვარე, კეთილი მეზობელი მტრად რომ არ გვექცეს, ქვეყანამ, თუნდაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ რა უნდა აკეთოს?

- საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა სტუმარმასპინძლობით, მოყვასის დაფასებით, მეგობრობით. ეს ქართველის გენშია. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, აქ ყველაფერი კეთდება კანონის ფარგლებში, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

- რა შეხედულება გაქვთ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვისაკენ მოუწოდებენ?

- დასაწყისში აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენმა ქვეყანამ კარგად იცის, რა არის ომი და მისი შედეგები, ვიცით მშვიდობის ფასი, ამიტომ ვერცერთ პოლიტიკოსს ვერ მოვუწოდებ, ვიღაცებს საომარი მოქმედებისკენ მოუწოდოს, პირიქით, ვფიქრობ, ყველა პოლიტიკოსის ვალია დიპლომატიური ჩართულობა ქვეყნის ომისგან დასაცავად.

- თქვენი აზრით, რამდენად მზადაა საქართველო ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურებში გაერთიანებისთვის?

- ჩვენმა ხელისუფლებამ მმართველობაში მოსვლის დღიდან აიღო ევროატლანტიკური გეზი. ევროკავშირი და ნატო არის ჩვენი მთავარი მიმართულება. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, ქვეყანაში გატარებული რეფორმები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გავხდეთ ჯერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.

უცხოეთი

ფინეთმა და შვედეთმა ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში ოფიციალურად შეიტანეს განაცხადები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შესახებ. ორივე ქვეყნის ელჩებმა განაცხადები გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს გადასცეს. როგორც დიპლომატები აღნიშნავენ, დაჩქარებული პროცედურის შემთხვევაშიც კი შეთანხმების რატიფიცირებას და წევრობას, სულ ცოტა, წელიწადი დასჭირდება. სტოკჰოლმისა და ჰელსინკის ნატოში გაწევრიანებას წინააღმდეგობები ელის ოფიციალური ანკარისგან. „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, თურქეთი თანხმობის სანაცვლოდ უახლესი წარმოების F-35-ების მიწოდებას და რუსეთისგან C-400-ების შეძენაზე აშშ-ის მიერ მათთვის დაწესებული სანქციების მოხსნას ითხოვს. ფინეთის პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ უთანხმოების მოგვარება კონსტრუქციული მოლაპარაკებებით შესაძლებელია.

* * *

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, მარიუპოლში ალყაში მოქცეული „აზოვსტალის“ ქარხნიდან თითქმის 1 000 უკრაინელი მებრძოლი ჩაბარდა. უწყების ცნობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში ქარხანაში მყოფი უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და აზოვის პოლკის 694 მებრძოლი ჩაბარდა, 16 მაისს კი „აზოვსტალიდან“ 265 სამხედრო გაიყვანეს.16 მაისიდან მარიუპოლში რუსული ძალების მიერ ალყაში მოქცეული ქარხნიდან ასობით უკრაინელი მებრძოლის ევაკუაცია პრორუსული ძალების თანხლებით დაიწყო. ისინი ამჟამად რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებიან. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თქმით, უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დასაბრუნებლად მათ რუს ტყვეებში გაცვლიან.

* * *

ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი, რუსეთის აგრესიისგან თავდაცვის მიზნით, ნატოს თავიანთ ტერიტორიაზე მეტი სამხედრო ძალის განთავსების თხოვნით მიმართავენ. ინფორმაციას „ვაშინგტონ პოსტი“ ავრცელებს. ევროპაში აშშ-ის მუდმივი სამხედრო კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობა ვაშინგტონმა, უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ აპრილში განიხილა. აღნიშნულს სკეპტიკურად უდგებიან საფრანგეთი და იტალია. დოკუმენტში, რომელზე დაყრდნობითაც გავრცელდა ინფორმაცია კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნაზე, საუბარია 20-20 ათას ჯარისკაცზე.

* * *

დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა, რომლებიც გერმანიაში შეიკრიბნენ, უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილიზაციისთვის მოკლევადიანი დახმარების საკითხი განიხილეს. აშშ-ის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, აღნიშნული მიზნით, ევროკავშირი მნიშვნელოვან ფინანსებს გაიღებს. უკრაინის დასახმარებლად თავიანთ წვლილს შეიტანენ, ასევე, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და კანადა. არსებული გათვლებით, უკრაინას პირველი სამი თვის განმავლობაში, დაახლოებით 5 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება ესაჭიროება.

წელს უკრაინისთვის დამატებით 9,5 მილიარდი ევროს მაკროფინანსურ დახმარებას გამოყოფენ

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა უკრაინისთვის წელს ახალი მაკროფინანსური დახმარების შეთავაზების შესახებ განაცხადა, რომელიც 9.5 მილიარდი ევროს ოდენობისაა.

„ჩვენ მთელი ომის განმავლობაში და როდესაც ისინი ქვეყანას ხელახლა ააშენებენ, მათ გვერდით ვიქნებით. რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო ფართო აღდგენის მცდელობებზე უნდა ვიფიქროთ“, - განაცხადა ლაიენმა.

ლაიენმა დასძინა, რომ ევროკავშირს აქვს „სტრატეგიული ინტერესი ამ რეკონსტრუქციის მცდელობის წარმართვაში“.

ამირან გურიელიძე

მოამზადა
ია შველიძემ

უკრაინულენოვანი სექტორი - ქართულ სკოლაში

ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, უკრაინულენოვანი სექტორი გაიხსნა. აქ უკრაინელ მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ

ისინი უსაფრთხო და პოზიტიურ სასწავლო გარემოში, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მომსახურებას მიიღებენ. ბათუმის უკრაინულენოვან სექტორზე სწავლის სურვილი დღეისათვის 100-მდე მოსწავლემ გამოთქვა. მომდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, აქ I-IV კლასის მოსწავ-ლეები ისწავლიან, ხოლო სექტემბრიდან, ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა ყველა საფეხურის მოსწავლეს ექნება. უკრაინულენოვან სექტორზე მოსწავლეები ისწავლიან ზუსტად იმ სახელმძღვანელოებით, რომლითაც ისინი უკრაინაში სწავლობდნენ. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოსწავლე შესაბამისი საგნების სახელმძღვანელოებით უკვე უზრუნველყოფილია.

უკრაინულენოვანი სექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან ერთად გახსნა. მან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ახალი სექტორის დაფუძნება მიულოცა.

- დღეს ჭეშმარიტად ისტორიული დღეა - ჩვენს საყვარელ ქალაქ ბათუმში, მე-20 საჯარო სკოლაში, იხსნება უკრაინულენოვანი სექტორი, სადაც უკრაინელი მოსწავლეები მშობლიურ ენაზე, უკრაინული სასწავლო პროგრამის მიხედვით ისწავლიან როგორც სავალდებულო, ისე ფაკულტატიურ საგნებს ფორმალური სასწავლო გეგმის ფარგლებში. ამასთან ერთად, ბავშვები შეისწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას და საგანს „ჩვენი საქართველო“. მათთვის დაიგეგმება აქტივობები აღმზრდელობითი და არაფორმალური განათლების მიმართულებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა მოსწავლე უზრუნველყო სწავლისათვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოებითა და ბუკებით. უკრაინელი მოსწავლეები, ქართველი თანატოლების მსგავსად, ისარგებლებენ მობილური ინტერნეტპაკეტის შეღავათიანი პირობებით სამინისტროსა და მობილურ ოპერატორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. მათ ასევე, შესაძლებლობა ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღონ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. ჩვენი სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მუშაობას, რომ საქართველოში მცხოვრებმა უკრაინელმა ბავშვებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. შევარჩიეთ საქართველოში უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო ჩამოსული საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც უკრაინულ ენაზე შესანიშნავად წარმართავენ სასწავლო პროცესს.

მინდა ჩვენს უკრაინელ დებსა და ძმებს, მთელი გულით გისურვოთ მშვიდობა უკრაინაში, რათა მალე დაბრუნდეთ სამშობლოში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში თქვენმა შვილებმა უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში მიიღონ ხარისხიანი განათლება. წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ უკრაინულენოვანი სექტორის თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლესა და მე-20 სკოლის მთელ გუნდს, - განაცხადა ჩხენკელმა.

საზეიმო ღონისძიებას საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრი კასიანოვი დაესწრო, რომელმაც საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს გულითადი მადლობა გადაუხადა უკრაინელი ხალხის მხარდაჭერისთვის.

- ეს არის უნიკალური შესაძლებლობა უკრაინელი ბავშვებისათვის, უკეთ ინტეგრირდნენ ჩვენს მეგობარ ქართულ საზოგადოებასთან და მიიღონ ზოგადი განათლება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და ჩემს მეგობარს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს უკრაინელი ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობისთვის. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინელი ხალხის გვერდით დგას ამ რთულ დღეებში და რუსეთის მხრიდან აგრესიის პირობებში მაქსიმალურად გვეხმარება, - აღნიშნა ანდრი კასიანოვმა.

- დარწმუნებული ვარ, პედაგოგებსა და თანაკლასელებს მაქსიმალურად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ექნებათ უკრაინელი ბავშვების მიმართ და ისინი მარტივად შეძლებენ უცხო გარემოსთან შეგუებას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მყოფი უკრაინელი ბავშვები სკოლებში გამარტივებული წესით ჩაირიცხებიან. მინდა ვუთხრა მათ, რომ საქართველოს მთავრობა, საქართველო და ქართველი ხალხი უკრაინის გვერდით დგას. დარწმუნებული ვარ, მალე დაისადგურებს უკრაინაში მშვიდობა. ვუსურვებ მათ საკუთარ სახლებში მალე დაბრუნებას. კიდევ ერთხელ ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს სოლიდარობასა და თანადგომას, - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამ ქვეყანაში მოვხვდებოდი როგორც დევნილი. ყოველთვის ვოცნებობდი, ჩამოვსულიყავი როგორც ტურისტი, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა... მადლობელი ვარ თქვენი ქვეყნის, რომ ჩვენ შვილებს მიეცით სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა, - აღნიშნა თავის კომენტარში უკრაინელი მოსწავლის მშობელმა ელენა იონამ.

ღონისძიების დასრულების შემდეგ უკრაინულენოვანი სექტორის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი აჭარის განათლების მინისტრთან ერთად შეხვდა და მათთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დეტალები განიხილა. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი პედაგოგებისთვის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკრაინულენოვან სექტორში დასაქმებული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზეც იზრუნებს.

ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე.

ელენე საყვარელიძე

„მადლობა თქვენს მთავრობას, რომ უკრაინელ ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა მისცა!“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო, საქართველოში ამ ქვეყნიდან 20 ათასამდე ლტოლვილი ჩამოვიდა, მათ შორის 4 500 ბავშვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორი გაიხსნა

გავესაუბრეთ ერთ-ერთი მოსწავლის დედას, **ნატალია ზვიერიევას**, რომელმაც ბავშვი სწორედ მე-20 საჯარო სკოლაში შეიყვანა.

- ქალბატონო ნატალია, გვიამბეთ საიდან ხართ და რა ვითარებაში მოგიწიათ ჩამოსვლა?

- უკრაინის ქალაქ მარიუპოლიდან ვარ, ომის დაწყებიდან ორ კვირაში სწორედ ჩვენი ქალაქი დაიბომბა. მთელ ქალაქში გაითიშა ელექტროენერგია, არ იყო წყალი... საშინელება გამოვიარეთ. აფეთქების შედეგად ჩვენი სახლის კორპუსი დაზიანდა, აივანი მთლიანად ჩამოიშალა და ორი ღამე ავარიულ სახლში გავათენეთ. წასასვლელი არსად გვქონდა. არც ტრანსპორტი მოძრაობდა. ის მაიმედებდა, რომ ჩვენი 9 წლის შვილი ბებიასთან გვყავდა, სხვა ქალაქში და იქ შედარებით უსაფრთხოდ იყო. მე-3 დღეს, როცა ბავშვი მოგვიყვანეს, შევაგროვეთ ყველაფერი, რაც კი გასაყიდად გამოდგებოდა, თვითმფრინავის ბილეთები ვიყიდეთ და სასწრაფოდ გადმოვფრინდით. ყველაფერი დავტოვეთ, რაც გვებადა. ბათუმში ხშირად ჩამოვდიოდით დასასვენებლად, ასე თუ ისე, ვიცოდით ქუჩები, მაგრამ არ ვიცოდით, ვისთან მოვდიოდით და სად უნდა გვეცხოვრა. ყველაზე მძიმე ასატანი ის არის, რომ ჩვენი ძაღლი ეზოში დავტოვეთ. მთელი გზა ვტიროდით ამის გამო. ჩვენი მაქსი დიდი და ბომბორაა. ძალიან მოსიყვარულე და თბილი. ალბათ ვერასოდეს ვაპატიებ ამას საკუთარ თავს. არც კი ვიცი, ახლა ცოცხალია, თუ არა.

- როგორ შეეგუეთ აქაურობას?

- თითქმის 2 თვეა აქ ვართ მე, ჩემი მეუღლე, შვილი და დედაჩემი. ნათესავები, რომლებსაც წამოსვლის საშუალება არ ჰქონდათ, დარჩნენ. ახლობლები თბილისში და რუსთავში ჩავიდნენ. თავიდან, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა ადაპტირება, პატარა ბინა ვიქირავეთ და ყველა ფინანსური რესურსი ამოვწურეთ. თუმცა, მე ფრჩხილების დამუშავების და ასევე, მკურნალობის სპეციალისტი ვარ და ერთერთ სალონში დავიწყე მუშაობა. ჩემს მეზობლად მცხოვრები ქალბატონი დამეხმარა დასაქმებაში. მეუღლე ფიტნეს-ინსტრუქტორია და სავარაუდოდ, ერთ-ერთ სპორტდარბაზში ისიც დაიწყებს მუშაობას. ბავშვის სწავლის ამბავი ძალიან გვადარდებდა, თუმცა მე-20 საჯარო სკოლაში უპრობლემოდ შევიყვანეთ, ყველამ შეგვიწყო ხელი, ვისაც კი შეეძლო. თავიდან ქართულ კლასში იყო, ძალიან უჭირდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს მთავრობას, რომ უკრაინელ ლტოლვილ ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა მისცა.

> ***„ჩემი შვილიც სწავლობს ქართულ სკოლაში და მეც მასწავლის. გუშინ მითხრა, დედა, ლამაზი გოგო ხარო - ქართულად. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან თბილი ხალხი ხართ, გვერდში მდგომი. როცა გაიგებენ, რომ უკრაინიდან ჩამოვედით, ყველაფერს აკეთებენ, რათა გვასიამოვნონ, ხელი შეგვიწყონ, დაგვეხმარონ. არის შემთხვევები, რომ მარკეტში ფულს არ გვართმევენ***

- აპირებთ ქართული ენის შესწავლას?

- ზოგადად, ბათუმში სალაპარაკო ენის პრობლემა არასდროს გვქონია, თითქმის ყველა საუბრობს რუსულად. თუ არ საუბრობენ, ესმით მაინც. რა თქმა უნდა, მტრის ენაზე საუბარი ძალიან გვიძნელდება, მაგრამ სხვა გზა არ არის. ქართულად უკვე საკმაოდ ბევრი სიტყვა ვიცი, რადგან მომხმარებლები ქართველები არიან და ვცდილობ, რაღაცები ვისწავლო. ვიცი: გამარჯობა, ნახვამდის, მადლობა, კარგად ვარ, სამსახურში მივდივარ, როგორ ხარ? ასევე ფერები: ვარდისფერი, ცისფერი, შავი... რაც ჩემს პროფესიაში მჭირდება. ჩემი შვილიც სწავლობს ქართულს სკოლაში და მეც მასწავლის. გუშინ მითხრა, დედა, ლამაზი გოგო ხარო - ქართულად. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან თბილი ხალხი ხართ. გვერდში მდგომი. როცა გაიგებენ, რომ უკრაინიდან ჩამოვედით, ყველაფერს აკეთებენ, რომ გვასიამოვნონ, ხელი შეგვიწყონ, დაგვეხმარონ. არის შემთხვევები, რომ მარკეტში ფულს არ გვართმევენ, ან როცა ბავშვს ბულვარში გავიყვანთ სასეირნოდ, ატრაქციონების თანხას არ გვახდევინებენ. ძალიან მეუხერხულება ასეთი მომენტები, თუმცა მსიამოვნებს და ცოტათი გაკვირვებულიც ვარ, მსგავსი მიდგომა ალბათ ერთეულებს აქვთ. იმდენად დადებითი ემოცია მოდის ყველასგან, უცხო ქვეყანაშიც კი თავს მარტო არ ვგრძნობთ. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვისაც რუსები ვგონივართ და ცივად გვპასუხობენ, ხანაც ინგლისურად გვიბრუნებენ სიტყვას. თუმცა არ ვამტყუნებთ. შემდეგ ვუხსნით, რომ უკრაინიდან ვართ და ბოდიშსაც კი გვიხდიან.

- რას აპირებთ სამომავლოდ?

- ყოველთვის ვიცოდი, რა მინდოდა, რისთვის უნდა მიმეღწია, რისთვის მეცხოვრა, მაგრამ ახლა, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევაა, როცა არ ვიცი, რა იქნება შემდეგ. უკრაინაში საკუთარი სალონის გახსნას ვაპირებდი, ყველა დოკუმენტაცია მზად მქონდა, ფართიც ნანახი. იმდენი ვიწვალე ამისთვის, ვერც კი გადმოგცემთ. ძალიან დიდი შრომა ჩავდე ყველაფერში და... ომი დაიწყო. პოლიტიკური თვალსაზრისით საუბარს არ დავიწყებ, უბრალოდ, ვიტყვი იმას, რომ ყველას დამსახურებულად მიეზღვევა! ყოველ დილით ლოცვით ვიღვიძებ და ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ცოცხალი ვარ, ოჯახი ჯანმრთელად და კარგად მყავს. სხვას აღარაფერს დავეძებ. როცა ომი დასრულდება (და იმედია, მალე დასრულდება) ჩვენი სახლი მარიუპოლში თავიდან ასაშენებელი იქნება და ამისთვის ფინანსურად მყარად უნდა ვიყოთ, რის შესაძლებლობაც ჯერ არ გვაქვს. ალბათ, დრო და ქვეყნის იმყამინდელი მდგომარეობა გვიჩვენებს, როგორ ვიმოქმედებთ. მინდა, ყველაფერი რაც შეიძლება მალე დასრულდეს და ჩვენს ქვეყანაში მშვიდ ცხოვრებას დავუბრუნდეთ. ყველა ბავშვს ნათელ და უზრუნველ მომავალს ვუსურვებ, არასოდეს გამოეცადოთ ის საშინელი ვითარება, რაც ომს ახლავს თან.

„ქალი, რომელსაც კარგი ოჯახი ჰყავს, თავისუფლად შეძლებს სახელმწიფოს მართვას“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმელმა გურანდა ნიჟარაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება თავისი წიგნით „აუტსაიდერის სოციალური ქსელი“. მრავალმხრივი ინტერესებით, ნიჭიერებით, ერუდიციით გამორჩეული ეს მწერალი და გამომცემელი დღეს ჩვენი სტუმარია.

- თქვენი დებიუტი მწერლობაში წარმატებული იყო, მკითხველთა ყურადღებას როგორ აღიქვამთ?

- მადლობა შეფასებისთვის. მკითხველთან საუბარი ძალიან მიყვარს, ბევრი საინტერესო ადამიანი მაჩუქა „აუტსაიდერმა“ - შემოკლებით ასე ვეძახი ჩემს წიგნს. გამოვყოფდი მარის, რომელთანაც ვმეგობრობ... მზიანი გოგოა და ძალიან მიყვარს.

- „აუტსაიდერის სოციალური ქსელი“ - თქვენმა ამ ნაწარმოებმა განსაკუთრებით ახალგაზრდების ყურადღება მიიპყრო, თავად რას ფიქრობთ, შეძელით როგორც გსურდათ, ისე გეთქვათ სათქმელი?

- დიახ! იმ ცხოვრებისეულ გზაზე ყველაფერი ითქვა. რაც ახლა მინდა ვთქვა, მეორე წიგნში იქნება.

- მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევით, მაინც ვინ ჭარბობს თქვენში - მწერალი, მხატვარი, მთარგმნელი... თვითრეალიზაცია სად უფრო გამოგდით?

- ჟურნალ „ჭოროხ'შიც“ ვმუშაობ და გამომცემელიც ვარ. ეს ყველაფერი ჩემი შემადგენელია. ვერცერთს გამოვყოფდი - ეს არის ჩემი ცხოვრება.

- როდის აღმოაჩინეთ, რომ მწერლობის გზაზე დადგომა იყო აუცილებელი თქვენი თვითრეალიზაციისათვის?

- არასდროს წარმომედგინა, ოდესმე წიგნს თუ დავწერდი. აი, ასე, ერთ დღეს დავჯექი და, ჩემთვის გასაკვირად, დავწერე პირველი თავი. მერე უფრო დამაინტერესა და მივყევი ჩემს თავნება პერსონაჟებს.

- რა არის მთავარი გზავნილი, რომელიც თქვენს შემოქმედებაში უნდა ამოიკითხოს მკითხველმა?

- „აუტსაიდერის სოციალურ ქსელში“ მადლობა გადავუხადე იმ შეუცვლელ ადამიანებს, რომლებიც რეალურად არიან ჩემს ცხოვრებაში. რომანი იწყება ბრიტანეთში, გრძელდება უკრაინაში და სრულდება საქართველოში, ბათუმში. წიგნი სამყაროსთან ჰარმონიულ შერწყმაზე, ერთმანეთის მიღებაზე, განსხვავებულ კულტურათა ერთიანობასა და მშვიდობაზეა, ლიტერატურისა და, საერთოდ, ხელოვნების ძალაზეა; სიყვარულზეა და, მიუხედავად ყველაფრისა, სიცოცხლის მშვენიერებაზეა.



- ბევრის აზრით, პოლიტიკის მიღმა ვერ იქნები, როცა სამშობლო გტკივა... თქვენი აზრით, მწერალი პოლიტიკურ პროცესში, ქალი და პოლიტიკა, ესეც საინტერესო თემაა... ერთგან აღნიშნეთ, ქალი გადაარჩენს კაცობრიობასო...

- დანამდვილებით ერთი რამ ვიცი - რაც უფრო მეტი ქალი იქნება პოლიტიკაში, მით უფრო მშვიდი იქნება სიცოცხლე. ქალი საწყისია კაცობრიობის. მასშია მომავალი. ის შეუპოვარი სიცოცხლის შემნახველია.

- თქვენ ლაპარაკობთ იმ ქალების ნაცვლად, რომლებიც დაადუმეს და ეს კარგია... მომავალი საზოგადო საქმიანობისადმი ქალურ მიდგომას მოითხოვს, ეს მისიაა და თქვენი როლი როგორ წარმოგიდგენიათ? რა სურს ყველაზე მეტად გურანდა ნიჟარაძეს?

- მე ადამიანების თანასწორობისკენ ვარ. ქალიც და კაციც, უპირველესად, ადამიანები არიან. არ მიყვარს, როცა უმეცრებით ამტკიცებენ მამაკაცის ე. წ. აღმატებულობას. ბიბლიის თარგმანში გამოყენებულია სიტყვა „კაცი“ - ზოგი ფიქრობს, რომ აქ მხოლოდ მამაკაცზეა საუბარი, თუმცა ორიგინალურ ებრაულ ტექსტში ამ ადგილას გამოყენებული სიტყვა გულისხმობს როგორც მამაკაცს, ასევე ქალს. ასე რომ, ორივე თანაბარი პირობით არის შექმნილი, აქვთ თანაბარი უფლებები და სათანადოდ შეუძლიათ დიდი მიზნების ასრულება. ყველაზე მეტად მინდა, რომ ომი არ იყოს არსად, არ იღუპებოდნენ ბავშვები, არ იყოს შიმშილი, ყველგან იყოს სასმელი წყალი და წამლები. გულწრფელად მინდა, რომ ადამიანები ზრუნავდნენ ერთმანეთზე და დედამიწაზე.

- თქვენ ძლიერი ფესვები გაქვთ - თქვენი დიდი ბაბუები დედე და რეჯებ ნიჟარაძეები და კიდევ მრავალი სახელოვანი ნიჟარაძე... ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, ცხადია...

- ამაყი ვარ ჩემი წინაპრებით. მახარებს, რომ საზოგადოებას ახსოვს მათი ღვაწლი და თავდადება. მთელი ჩემი ცხოვრება მათი ნაამაგარი წინ მხვდება, რაც დიდი სიამაყის განცდას იწვევს ჩემში. ერთგვარი პასუხისმგებლობაა დანაბარები და ანდერძი, სამშობლოს სიყვარულის მაგალითი. დღემდე, რაიმე კარგს თუ ვაკეთებ, ბაბუა სელიმ ნიჟარაძე წარმომიდგება თვალწინ, ვხედავ, როგორ მიცქერს თავისი გამამხნევებელი ღიმილით... თუმცა, როცა რაიმეს ვაშავებ, მაშინაც ასე მიცქერს.

- „წამში შემიძლია რომელიმე წიგნში, ნახატში, ფილმში აღმოვჩნდე“ - ეს თქვენი სიტყვებია. საინტერესოა, როგორ?

- კინოზე და საერთოდ ხელოვნებაზე შეყვარებული ადამიანების ჩვევაა: აი, მაგალითად, გზად შეიძლება უცნაურად გამოწყობილი ქალი შემომხვდეს და ჩემ საყვარელ ლიტერატურულ ან კინოფილმის პერსონაჟს მივამსგავსო, ყოველივე მაგიურად გარდაიქმნება იმ წუთებში. ვაგროვებ ასეთ გაელვება წამებს.

- კომპლიმენტებს, რომლებსაც გეუბნებიან, იმახსოვრებთ? საერთოდ, როგორ აღიქვამთ შექებას, ჯილდოს, ტაშს...

- ჩემმა საყვარელმა კურტ ვონეგუტმა თქვა: - „დაიმახსოვრეთ კომპლიმენტები“ - მეც გამორჩეულებს ვიმახსოვრებ. წრფელი ყველაფერი სასიხარულოა, პირფერული არაფერი მიყვარს.

- სიკვდილი - სიცოცხლის დასასრული თუ...

- სიცოცხლე მარადიულობის დასაწყისია და სიკვდილიც კი ვერაფერს დააკლებს მას.

- ჩვენი პლანეტა აპოკალიფსის წინაშეა... ეკოკატასტროფა და პანდემიები... გადასარჩენად რა უნდა ვიღონოთ?

- მე ადამიანის გამარჯვებისკენ ვარ! ვიცი, რომ გავიმარჯვებთ ამ გამოწვევებში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ სამყაროს და დედამიწის ნაწილი ვართ.

- რამდენად ნაკლებია ცოდნა, მით მეტია გმობის უნარი - მეთანხმებით?

- დიახ, ასეა. სამწუხარო სანახავია უვიცი ადამიანი, რომლისთვისაც საზღვარი არ არსებობს მეორე ადამიანის უპატივცემულობისა.

- როცა სულს სწყურია, რომელ მწერლებს კითხულობთ, ვის ნახატებს ნახულობთ, როგორ მუსიკას უსმენთ?

- თვლა ამერია, იმდენჯერ მაქვს წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“. ასე გამოყოფა მიჭირს. ახლა მაგიდაზე როთენბერგი, ქეროლი, უილიამ ბლეიქი, ტოლკინი, ლექსიკონები და სხვა წიგნები მიდევს. მხატვრებზეც იგივეს ვიტყოდი. ძალიან ხშირად დავყურებ დიურერის ავტოპორტრეტს, „მელანქოლიას“. მიყვარს დიურერის და ლეონარდოს ხელების ჩანახატების თვალიერება. მუსიკა მიყვარს ყველანაირი: ახლახან ვუსმენდი არვო პიარტის „ალინასთვის“.

- თქვენ და ოჯახი... მიგაჩნიათ, რომ მას სახელმწიფოსავით ჭკვიანური მართვა სჭირდება?

- ოჯახი უნდა იყოს ადგილი, სადაც ისეთი უყვარხარ ყველას, როგორიც ხარ. ოჯახი პატარა სახელმწიფოა. დავამატებდი: ქალი, რომელსაც კარგი ოჯახი ჰყავს, თავისუფლად შეძლებს სახელმწიფოს მართვას.

- უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, ასეა ხომ?

- დიახ! რომ არა ეს დიდი, ყოვლისმომცველი, კოსმიური გრძნობა, ადამიანს კითხვა „ვინ“ კი არა, „რა“ დაესმებოდა.

- დაბოლოს, რას იტყოდით, რით დაასრულებდით ამ ინტერვიუს?

- მინდა მადლობა გადაგიხადოთ საინტერესო შეკითხვებისთვის. გისურვებთ ბევრ წარმატებას თქვენ და, რა თქმა უნდა, თქვენს მკითხველს.

„სწორი კომუნიკაცია როგორც სამყაროსთან, ასევე ადამიანებთან, გხდის ბედნიერს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ჩვენი სტუმარია იურისტი, ნოტარიუსი ***ხათუნა კალანდარიშვილი****, რომელიც მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ყველაფერი იყოს იდეალურად, თუ პრიორიტეტებს სწორად დასახავ და განახორციელებ.*

- მოგვიყევით ბავშვობის წლებზე.

- ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, ქალაქში, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს, რომელთანაც არაერთი ტკბილი მოგონება მაკავშირებს და დღემდე მათობს. მაგრამ თუ მკითხავენ, მინდა თუ არა დაბრუნება ბავშვობაში, ალბათ, ვუპასუხებ - არა, რადგან ეს ბავშვი ახლაც ჩემშია, იგივე სიცელქით შეიძლება - ვერა, მაგრამ იგი მე შევინარჩუნე იგივე სილაღითა და ხალისით. 13 წლისამ უკვე ვიცოდი, იურისტი რომ გავხდებოდი. ამ პროფესიის არჩევაზე არაცნობიერად, „საბჭოთა სამოქალაქო კოდექსმა“ იქონია გავლენა, იმ სქელტანიანმა კანონთა კრებულმა, რომელსაც ბებიაჩემი, ბაბუას „გაკულაკების“ შემდეგ, ჩამორთმეული ქონებისთვის გაუთავებელი სამოქალაქო დავების გადამკიდე, მუდმივად უკირკიტებდა.

- როგორ შეხვდა ოჯახი თქვენს გადაწყვეტილებას?

- საკმაოდ სკეპტიკურად, მაგრამ მაინც პატივი სცეს ჩემს არჩევანს. გადაწყდა, ჩავბარებდი „ალმა-მატერში“, ჩემს ოცნებად ქცეულ სახელმწიფო უნივერსიტეტში და თან, 5 წელი ვიცხოვრებდი დედაქალაქში, რომელიც ასე მაჯადოებდა და მხიბლავდა. პროფესიის არჩევანში არ შევმცდარვარ, ზუსტად ვიცი, ესაა ჩემი საქმე, რომელსაც ვემსახურები და რომელიც მაბედნიერებს.

- რას ნიშნავს ეს პროფესია თქვენთვის?

- იყო ნოტარიუსი, დიდი პასუხისმგებლობა, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლება, გაცხადებული ნდობაა. ჩვენ საჯარო მოხელეებთან გათანაბრებული პირები ვართ, ოღონდ „თავისუფლების ელემენტებით“. ჩვენ ვართ მიუკერძოებელი და ობიექტური მრჩეველი მოქალაქეებისთვის, იურიდიული პირებისთვის, სახელმწიფოსთვის. ფაქტობრივად, ისტორიას ქმნი, ქონებრივ ურთიერთობებს აწესრიგებ, სამართლებრივ კონსულტაციებს გასცემ, ჩართული ხარ მრავალფეროვან სამოქალაქო ბრუნვაში, ქვეყნის მაჯისცემას გრძნობ, ადამიანებს ეხმარები, სწორ მიმართულებას აძლევ, კანონის ფარგლებში რჩები და მას მიჰყვები. ესაა მუდმივად განახლებადი, მრავალფეროვანი პროცესი, სადაც თვალს ვერ მოუხუჭავ თანამედროვე გამოწვევებს, საკანონმდებლო სიახლეებს, ტექნოლოგიურ წინსვლას. ჩვენ მიერ შესრულებულ ყოველ სანოტარო აქტს აქვს იურიდიული შედეგი, იგი ვალიდური და აღსრულებადი დოკუმენტია, ხელს აწერ სახელმწიფოს სახელით და ყველა სანოტარო აქტის უკან ადამიანის ინტერესები დგას, მათი ქონებრივი და პირადი ინტერესები. მახსოვს და არასდროს დამავიწყდება პირველი მოქალაქე და შესრულებული სანოტარო აქტი, ხელის კანკალით მოწერილი.

- საზოგადოების ნდობის მოპოვება საკმაოდ რთულია, თქვენ ეს შეძელით...

- დიახ, და ბედნიერი ვარ ამით. მიმაჩნია, რომ ადამიანებთან სწორი კომუნიკაციით, სიმართლით, ობიექტური და მოქნილი დამოკიდებულებით, კანონის სწორი ინტერპრეტირებით, მუდმივი დახმარების მზაობითა და, რაც მთავარია, ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარულის გამჟღავნებით, აუცილებლად მიიღებ მათ ნდობასა და სიყვარულს. ყველაფერი ბუნებრივი იწვევს კეთილგანწყობას ადამიანებში, ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც.

- მუდმივად უწევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს პოპულარიზაციას. რამდენი ხანია, რაც იოგათი დაინტერესდით?

- წლებია, მივსდევ იოგას. ყველაფერი გაქექილი, წითელი წიგნით დაიწყო, რომელსაც ერქვა - „იოგა ყველასათვის“, საიდანაც დამოუკიდებლად ვსწავლობდი ასანებს. ჩემთვის იოგა ჰობი არაა, იგი ცხოვრების წესია, ცნობიერების მართვის ფორმალური პროცესია, სულიერი წონასწორობა, ბალანსი, ფიზიკური და მენტალური წრთობა, ჰარმონია, მედიტაცია, პატარ-პატარა გამარჯვებები, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს აღმოგაჩენინებს და შეგაყვარებს. იოგა ჩემი ნირვანაა და ამასთან, საინტერესო რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებაც, რომელსაც ვსწავლობ და ვუღრმავდები. მინდა გირჩიოთ. დაკვდით იოგათი, ის თქვენს აქამდე შეუცნობელ სიღრმეებს შეგაცნობინებთ.

- ხშირად მოგზაურობთ, ეს ალბათ დამატებითი ენერგიის წყაროა თქვენთვის?

- მოგზაურობა ჩემი ჰობია, თავს პირობა მივეცი, ყოველ წელს, მინიმუმ, ორ ახალ ქვეყანას ვსტუმრებოდი, მათ კულტურას, არქიტექტურას, ადათ-წესებს გავცნობოდი. პანდემიას თუ არ ჩავთვლი, ეს პირობა წარმატებით შევასრულე. ვაპირებ, კვლავ განვაგრძო ყველაზე სასიამოვნო პროცესი, რომელსაც მოგზაურობა ჰქვია და რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ნახვის გარდა, აღმოგაჩენინებს საკუთარ თავს სხვადასხვა მიმართულებით.

- თქვენი ძლიერი მხარე, რომელიც გეხმარებათ საქმიანობის უკეთ წარმართვაში?

- კომუნიკაბელურობა, რაც საშუალებას მაძლევს, კანონის მოთხოვნები ნათლად და გასაგებად განვუმარტო მოქალაქეს, გამოვხატო ჩემი ემპათია, გავიგო მათი გზავნილები და მოვახდინო ამ ორის სინთეზი.

- იყო წარმატებული ქალი, ნიშნავს...

- იზრუნო საკუთარი თავის განვითარებაზე, იყო მუდმივად ახლის ძიებაში, აკეთო საყვარელი საქმე, იყო პოზიტიური, ქველმოქმედი, შედეგებზე ორიენტირებული, შეგეძლოს პრიორიტეტების სწორად დასახვა და განხორციელება, იყო პროგრესული, თანმიმდევრული, თვითკმარი. სწორი კომუნიკაცია როგორც სამყაროსთან, ასევე, ადამიანებთან, გხდის ბედნიერს. მინდა ვისურვო, ბედნიერებამ დაისადგუროს დედამიწაზე და ადამიანებში.

„ქალებს უნდა მოუსმინონ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მელანო ებრალიძე ისტორიული მარეთის ხეობის მკვიდრია. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სპეციალობით ჟურნალისტმა, შუბნის საჯარო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მალე სერტიფიცირებული მასწავლებლის წოდება მოიპოვა. 2021 წლის ოქტომბერში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოცხადებული ნდობის შემდეგ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გახდა და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. მელანო პედაგოგიურ და პოლიტიკურ საქმიანობას ერთმანეთს უთავსებს, ამასთან, აქტიურადაა ჩართული შუახევის გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაში. მან მონაწილეობა მიიღო ქალთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებაში. მელანო ებრალიძე დედაქალაქში მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

- ახალბედა პოლიტიკოსისთვის დიდი პატივია ქალთა რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობა. ქვეყნის ყველა რეგიონიდან მოწვეული ქალების ხმას ჩემიც შეუერთდა. შეხვედრის მიზანი იყო ქალთა როლისა და ავტორიტეტის გაძლიერება, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნა. ავირჩიეთ ორგანიზაციების გამგეობის წევრები როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. მივესალმები რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარედ ქალბატონ ნინო წილოსანის არჩევას. ძალიან კარგია, რომ ქალებს ასეთი ასპარეზი გვეძლევა. პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვა პროცესებში ჩვენი ჩართულობა, ვფიქრობ, სასიკეთოდ აისახება ქვეყნის მომავალზე, ჩვენ უფრო მეტს ვფიქრობთ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. მიხარია, რომ ქვეყანაში გარკვეული ნაბიჯები იდგმება საიმისოდ, რომ ქალებს კი არ დაუჯერონ, არამედ - მოუსმინონ, მათი აზრი გაითვალისწინონ. მარეთის ხეობაში, თუნდაც, შუახევში, არაერთი ქალბატონი გვყავს და გვყავდა, რომელთა საქმიანობაც წარმატებულია.

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობა დაამთავრეთ. რატომ არ ისურვეთ, პროფესიით გეპოვათ სამსახური?

- ამის დიდი სურვილი მქონდა, არც მცდელობა დამიკლია, მაგრამ ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევა გამიჭირდა. ვფიქრობ, არც არაფერი წამიგია. მოსწავლეებთან მუშაობა არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველია. ისე, თუ საშუალება იქნება, ჟურნალისტად მუშაობასაც არ დავიზარებ - ის ჩემი ბავშვობისდროინდელი გატაცება იყო და არ მინდა, საბოლოოდ ჩაკვდეს.

- რამდენად ობიექტური იყო კონკურსები, რომლებშიც ჩართული იყავით?

- ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსში და, რა თქმა უნდა, როცა უარი მომდიოდა, მიჩნდებოდა უკმაყოფილების განცდა, მაგრამ ასე, ხელის ერთი მოსმით, ვერ გეტყვით, რომ უსამართლო იყო. მაგალითად, აჭარის ტელევიზიაში წელიწადი და რვა თვე დავდიოდი სტაჟირებაზე, იყო შანსი, დავრჩენილიყავი, თუმცა დაიწყო ტელევიზიის რეორგანიზაცია და წამოვედი. უკმაყოფილების განცდა დამრჩა, რადგან მიიღეს ისეთები, რომლებსაც ქართული სკოლაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული.

- პედაგოგიურ ასპარეზზე უმალვე წარმოჩნდით...

- აქ წარმატების მიღწევა უცბად და ასე მარტივად არ ხდება. მე ჩემს თავს ვერ მივიჩნევ წარმატებულ პედაგოგად, რადგან ახლა ვსწავლობ ჩემი მასწავლებლებისგან, როგორი უნდა იყოს წარმატებული, პროფესიონალი, სრულყოფილი მასწავლებელი. მივხვდი იმას, რომ ბავშვების სიყვარულია მთავარი. დანარჩენს, იმედია, საკუთარ თავთან მუშაობით, შუბნის საჯარო სკოლის, ასევე ყოფილი მასწავლებლების გამოცდილების გაზიარებით მივაღწევ. ვასწავლი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. მათთან მუშაობა არის ძალიან საინტერესო. მომწონს და მიყვარს მათი ჭკვიანი, ნდობით მომზირალი, ცნობისმოყვარე თვალები.

- პედაგოგიურ საქმიანობას პოლიტიკურიც შეუთავსეთ.

- პოლიტიკური საქმიანობა ჩემთვის ახალია და ვსწავლობ ყოველდღიურად გამოცდილი კოლეგებისგან, ვცდილობ, მოვუსმინო ამომრჩევლებს. ვაცნობიერებ, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა როგორც საზოგადოების, ასევე იმ ადამიანების მიმართ, ვის გვერდითაც ვმუშაობ, ვინც გზის გაკვლევაში დამეხმარა. ვესწრები სხდომებს, ვეცნობი პრობლემებს, გამოწვევებს და თანდათან ვცდილობ, ჩავერთო მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ბაბუა - ვახტანგ ხიმშიაშვილი წარმატებული პედაგოგი, სოფლის ხელმძღვანელი და შუახევის საკრებულოს დეპუტატი გახლდათ. მისი რეკომენდაციით ბევრს ვაღწევ. დიდია იმ ადამიანების დამსახურება, რომელთაც ჩემი წარმატება და წინსვლა ისურვეს. არასდროს დამიგეგმია პოლიტიკური საქმიანობა, მაშინაც კი, როცა საქმიანობად სოციალური მეცნიერება ავირჩიე. მიყვარს ხალხთან სიახლოვე და, იმედია, ღმერთი შემაძლებინებს გავართვა ამ გამოწვევას თავი.

- ყველა ქალის უპირველესი მოვალეობა დედობაა...

- დედობა, ვფიქრობ, დიდი ბედნიერებაა ქალისთვის. ჩვენი ვალია, სამშობლოს ღირსეული შვილები გავუზარდოთ... ხომ გაგიგიათ: ქალი ზის და ბედს ელისო. იმედია, ამ მხრივაც გამიმართლებს.

- იმ სკოლაში საქმიანობთ, რომელიც ცნობილ ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძის სახელს ატარებს. რა ადგილს იჭერს ეს სახელოვანი მეცნიერი თქვენს ცხოვრებაში?

- ეს, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა. 20-მდე კოლეგასთან ერთად, მქონდა პატივი, მონაწილეობა მიმეღო იმ პროცესებში, რომლებიც სკოლისთვის მისი სახელის მინიჭებას უკავშირდებოდა. სანამ უშუალოდ გავიცნობდით, მანამდეც ბევრი რამ ვიცოდი ამ დიდებული ადამიანის შესახებ. როცა გავიცანი, კიდევ უფრო დავრწმუნდი ბატონი ტარიელის გულწრფელ პატრიოტიზმში. მინდა, ისე ვუერთგულო ქვეყანას, როგორც მან.

- მარეთის ხეობას წარმატებული ქალები არ აკლია. ვინ არის თქვენი იდეალი?

- მართალია, ხეობას ღირსეული ქალბატონები ჰყავს, მაგრამ ჩემი იდეალია ჩემი ანაკო (ბებია), ადამიანი, რომელიც სიკეთეს, სიყვარულს და მოთმინებას იჩენს ყველასა და ყველაფრის მიმართ. სახლიდან რომ გავდივარ, გზას მილოცავს, დაბრუნებულს - ღიმილს შემომაგებებს, ის დედაცაა, ბებიაც და გულის მესაიდუმლეც. კარგად იცის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მოსწავლეობისას ლექსს ხმამაღლა მაკითხებდა და ჩემზე ადრე იზეპირებდა. 90 წელს მიტანებულს, მეხსიერება დღესაც არ ღალატობს.

- მამასაც გამორჩეულად ეფერებით...

- სიმართლე რომ გითხრათ, მოფერებაზე მეტად - ვანერვიულებ, მაგრამ ძალიან მიყვარს. მაოცებს მისი განსაკუთრებული ხასიათი და დამოკიდებულება ყველას მიმართ, სხვებზე ზრუნვა.

- ჟურნალისტი, პედაგოგი, პოლიტიკოსი - ეს ყველაფერი რამდენად თავსებადია?

- ჟურნალისტიკა ჩემი პროფესიაა, მასწავლებლობა - საყვარელი საქმიანობა, რომელიც კოლეგებმა ისე შემაყვარეს, რომ გამიჩნდა სურვილი, მთელი ცხოვრება ეს საქმე ვაკეთო. რაც შეეხება პოლიტიკას, ეს სიახლეა ჩემთვის და ვნახოთ, როგორ წარიმართება.

- გაწონასწორებული და მიმტევებელი ხართ, ამასთან - მებძოლიც. ამ თვისებებს ვის უმადლით?

- დედას, მამას და ანაკოს... რაღაც თვისებებს ადამიანი იმ გარემოდან იძენ, რომელშიც ცხოვრობ.

- რა არის მთავარი, კოლეგების, აღსაზრდელების, ამომრჩევლების პატივისცემა რომ დაიმსახურო?

- ვფიქრობ, საქმე უნდა აკეთო გულით, იყო ისეთი, როგორიც ხარ, მოუსმინო ადამიანებს, გამოცდილება გაიზიარო და შეცდომები აღიარო.

- რომელიმე ჟურნალ-გაზეთიდან შემოთავაზება რომ მიიღოთ, დათანხმდებით მუშაობას?

- გააჩნია დროს და ადგილს...

- რა ბედი ელის იმ ჩანაწერებს, სხვა მასალებს, რომლებიც დაწერეთ?

- სურვილი მაქვს, ერთიანი სახე მიიღოს.

თანადგომა ასეთი უნდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რამდენიმე დღის წინ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრის შადიმან მუკუტაძის საცხოვრებელი სახლი და სათავსები ხანძარმა შეიწირა. აჭარის მთავრობის ფონდიდან დაზარალებულებს 20 ათასი ლარი დაერიცხებათ. გარდა ამისა, უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის ექვსი სოფლის მოსახლეობა თანხით დაეხმარება

უსახლკაროდ დარჩენილი მუკუტაძეების ოჯახს სოფელში საკუთარი საცხოვრებელი სახლი დროებით დაუთმო ბათუმში მცხოვრებმა სკოლა «ევრო 2000»-ის დირექტორმა ანზორ აბუსერიძემ. დაზარალებულებს სასურსათო პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა პაატა ქათამაძემ, მერის წარმომადგენელმა უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძემ მიუტანეს.

- სოფელი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გვერდით დაგვიდგა, - გვითხრა შადიმან მუკუტაძემ, - უკვე ტექნიკაც მუშაობს იავარქმნილი ტერიტორიის გასაწმენდად, ნარჩენების გასატანად. მეზობელ სოფელში სახლი გამოინახა, რომლის შეძენას ვაპირებთ.

„ფარმაცევტული პროდუქციის კონკრეტული იმპორტიორი კომპანიები გარიგებაში არიან ექიმებთან და ამის შესაბამისად წერენ რეცეპტებს“

აღნიშნული სკანდალური განცხადება კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

„ფარმაციას რაც შეეხება, არის ჩვეულებრივი მოსყიდვის ფაქტები, როცა კონკრეტული იმპორტიორი კომპანიები გარიგებაში არიან ექიმების გარკვეულ ჯგუფებთან და იმ მედიკამენტების რეცეპტში ასახვა ხდება, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება მოქალაქეს სჭირდება, მაგრამ შეიძლება იმდენი არ სჭირდება ან სხვა უკეთესია ფასით ან ხარისხითაც, ეს შემთხვევებია უამრავი, უფრო მეტიც, ქეშბექების სახით პირდაპირ ბარათებზე ერიცხებათ ხელფასები, ეს პრაქტიკა დღეს არის, ამაზე სამინისტროც ინფორმირებულია“, - განაცხადა ლექვინაძემ.

მისი თქმით, დაგეგმილი რეფორმები ამის პრევენციას ემსახურება, ამასთან ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს გარკვეულ რისკ-პროგრამის დანერგვაზე, „რომლითაც შეიძლება გაწითლდეს იმ ექიმის მაჩვენებელი, რომელიც მუდმივად ერთსა და იგივე წამალს ნიშნავს“. ამასთან, ლექვინაძე მიიჩნევს, რომ არაკეთილსინდისიერი მარკეტინგის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმები არ არის საკმარისი.

ცნობისათვის: *ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე კონკურენციის სააგენტოს 2021 წლის ანგარიში მოისმინეს, რომელიც სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ წარადგინა.*

ამირან გურიელიძე

მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეების მკვიდრი ილიკო ტაკიძე ოთხი ათეული წლის წინ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში გადავიდა საცხოვრებლად. შრომისმოყვარე ოჯახმა იქ შესანიშნავი ცხოვრება მოიწყო, თუმცა წუხდნენ, რომ წინაპრების კერიაზე სახლი არ დარჩათ. შვილების დახმარებით, მალე ილიკოს საცხოვრებელი სახლი ხარაჩოებს ჩამოიხსნის და სოფელს კიდევ ერთი ოჯახი დაუბრუნდება.

- ტაკიძეები უხვმოსავლიანი სოფელია. ტურისტული ობიექტებიც ბევრია. იმედია, ილიკო ტაკიძის ოჯახი მალე ტურისტებსაც უმასპინძლებს. სოფელი ცარიელდება, მრავალი სახლი გამოკეტილია. ილიკო პირველია, რომელიც ბარიდან მთაში დაბრუნდა, - გვითხრა ტაკიძეებელთა მაჟორიტარმა შუახევის საკრებულოში მალხაზ ტაკიძემ.

„ქვევრის ნატურალური ღვინო საოჯახო მარნის სახეა“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

J. wine ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, მახინჯაურში შექმნილი ბრენდია, რომელიც მარნის ნატურალურ ღვინოებს, ქინძმარაულს, საფერავს, ჩხავერს, ოჯალეშს, ალადასტურს, რქაწითელს, მუსკატსა და მუხის ფრანგულ კასრებში დავარგებულ ჭაჭას აწარმოებს. პროდუქცია წარმატებით იყიდება როგორც საქართველოში, ასევე - უცხოეთში. მარნის დამფუძნებელი ***ჯიმშერ ბერიძე*** *პროფესიით ღვინის ტექნოლოგია. გაზეთი „აჭარა“ დაინტერესდა სამეწარმეო საქმიანობის პირველი ნაბიჯებით და ბრენდის სამომავლო გეგმებით.*

- ბატონო ჯიმშერ, გაგვაცანით თქვენი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ისტორია.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, კურორტის სტატუსის მქონე დასახლება მახინჯაურში ვეწევი სამეწარმეო საქმიანობას. ყველაფერი 4 წლის წინ დაიწყო, როდესაც ოჯახში გაჩნდა იდეა, წამოგვეწყო სამეწარმეო საქმიანობა ხილის გადამუშავების მიმართულებით. დავიწყეთ ჩირის წარმოებით, მალევე ღვინის დაყენების ტექნოლოგიას მოვკიდე ხელი. პირველივე წელს მიღებული ღვინის სახეობებმა დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე საზღვარგარეთ - ნაწარმი საჩუქრად სხვადასხვა ქვეყანაში მიჰქონდათ, რამაც შემმატა მოტივაცია და საქმიანობის გაფართოებაზე დავიწყე ფიქრი. 2020 წელს, პანდემიის პერიოდში ავაშენეთ მარანი, განვთავსეთ ქვევრები, კასრები და ძველი, მამაპაპური ტრადიციული მეთოდით დავწურე ქვევრის ნატურალური ღვინო. 6 ჯიშის ყურძნისგან, საბოლოოდ, კუპაჟების გაერთიანებით, 10 სახის ღვინო მივიღე. რა თქმა უნდა, რთული პროცესია წარმოება, თუმცა იმდენად საინტერესო და სასიამოვნოა შედეგი, რომ დაღლა და ნერვიულობა გავიწყდება. ჩემთვის მთავარია კმაყოფილი სახეები და ემოციები, რომელსაც მარნის სტუმრებისგან ვიღებ.

- რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ამ ყველაფრით?

- დაინტერესება ბაზარზე არსებულმა მოთხოვნამ განაპირობა. ვიცით, რომ აჭარა ტურისტული რეგიონია, ძალიან დიდია ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული სააგენტოების მხრიდან, რასაც კვლევებიც ადასტურებს. რეგიონში ძალიან ცოტაა საოჯახო მარნები, რომლებიც ქვევრის ნატურალურ ღვინოებს ამზადებენ. სხვადასხვა ღვინის ფესტივალზე წარდგენილმა ჩვენმა ღვინოებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ამიტომაც, როცა მომხმარებელი ინტერესდება განსხვავებული პროდუქტით, შესაბამისად ჩნდება იდეა, შექმნა საუკეთესო ხარისხის, განსხვავებული გემოს ალკოჰოლური სასმელები.

- რა იყო თქვენთვის მთავარი გამოწვევა, ამ საქმიანობის დასაწყისში?

- მთავარი დამაფიქრებელი საკითხი ფინანსები იყო. როდესაც ახალ ბიზნესს იწყებ, რისკი არსებობს, რამდენად მოგიტანს საქმიანობა ფინანსურ სარგებელს. ჩემს შემთხვევაში, ნელი ტემპით დაიწყო სამეწარმეო საქმემ განვითარება, თუმცა აღიარება მალევე მოვიპოვეთ უცხოეთის ბაზარზეც კი.

- ვინ არიან ძირითადი მომხმარებლები, სად ყიდით თქვენს პროდუქციას საქართველოში? ასევე, საინტერესოა, მომხმარებლებს ყველაზე მეტად რა აინტერესებთ?

- ჩვენი მარნის ქვევრის ნატურალური ღვინოები - ქინძმარაული, საფერავი, ჩხავერი, ოჯალეში, ალადასტური, რქაწითელი, მუსკატი და მუხის ფრანგულ კასრებში დავარგებული ჭაჭა, ხილის ბრენდი - ეს მრავალფეროვნება იწვევს მათში ინტერესს. ადგილზე მოსული სტუმარი ეცნობა ღვინის დაწურვის ტექნოლოგიას, ბოთლში ჩამოსხმის, შენახვის, ეტიკეტირების პროცესებს, ინფორმაციის მიღების შემდეგ უფრო მეტად ინტერესდებიან, მოჰყავთ თავიანთი ოჯახის წევრები, მეგობრები. სწორედ ეს პროცესი სძენს საოჯახო მარანს უნიკალურობას, ადგილზე ეცნობიან ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვან, 8000-წლიან ისტორიას, ადგილზევე შეუძლიათ დეგუსტაცია, თავისივე ხელით ასხამენ ბოთლში ღვინოს და მიაქვთ თავიანთ ქვეყნაში.

- რა გეგმები გაქვთ? ზაფხული ახლოვდება, დაიწყეთ უკვე მზადება?

- 2022 წლის ზაფხულის სეზონს განსაკუთრებული გეგმებით ვხვდებით, წელს ვგეგმავთ მარნისა და კაფის გახსნას, სადაც მომხმარებელს შევთავაზებთ როგორც ქართულ, ასევე, აჭარულ კერძებს. ამჟამად ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებს ვახორციელებთ. იმედი გვაქვს, ზაფხული შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მეტ ადგილობრივს და ტურისტს ვუმასპინძლოთ. დაინტერესება არის ტურისტული სააგენტოებისგან, გიდების ასოციაციისგან, მარნის ბათუმთან ახლომდებარეობის გამო უფრო მეტად ინტერესდებიან ტურისტები.

- რა პიროვნული თვისებები დაგეხმარათ საქმის წარმატებით აწყობაში?

- ყველა საქმეში ოჯახი მიდგას მხარში - მეუღლე და ჩემი სამი შვილი. იდეა, რომელსაც დავისახავ მიზნად, ვცდილობ, მალევე განვახორციელო. ვფიქრობ, მიზანდასახულობამ მომცა საშუალება, საქმიანობა გამხდარიყო წარმატებული.

- რას ეტყვით თქვენს პოტენციურ მომხმარებლებს? რატომ უნდა შეიძინონ თქვენი პროდუქტი?

- ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინო საუკუნეებს ითვლის. ლონდონის ეროვნულ მუზეუმში ქართულ მეღვინეობას ცალკე ადგილი აქვს გამოყოფილი, რათა მსოფლიო გაეცნოს, რა უნიკალური ისტორიის მქონე ერი ვართ, ქვევრის ნატურალური ღვინო საოჯახო მარნის სახეა. საქართველოში წინათ ყურძნის 525 სახეობის ჯიში ხარობდა, წელს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში გავაშენე ჩხავერი, იმედი მაქვს, 2-3 წელიწადში მივიღებ ყურძნის მოსავალს. მომხმარებელს ვთხოვ, მოვიდეს ჩვენს მარანში, შეარჩიოს მისთვის სასურველი ღვინო, ჭაჭა ან ბრენდი, გაეცნოს ქართული ღვინის ისტორიას. ჩვენ ღვინის ტურიზმით ვართ დაკავებული, ღვინის შეძენას თავად მომხმარებელი წყვეტს ადგილზე.

რუსეთი ფინეთს ნატოში შესვლის გამო „სიურპრიზს“ ჰპირდება

ეს სიტყვები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერ მარია ზახაროვას ეკუთვნის. ამ ინფორმაციას რუსული მედიასაშუალება RIA ავრცელებს. „ეს იქნება სიურპრიზი. ეს ჩვენი თავდაცვის დეპარტამენტის გადასაწყვეტია. რა თქმა უნდა, შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული ფაქტორების მთელი სპექტრის და იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ როგორ განვითარდება ფინეთის გაწევრიანება ნატოში. გადაწყვეტილება ყოველივე ამის საფუძველზე იქნება მიღებული, მაგრამ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს სამხედროების გადასაწყვეტია“, - განაცხადა ზახაროვამ ბრიფინგზე.

ამირან გურიელიძე

დავით გაბაიძე: 2024 წლის ბოლოსთვის უმაღლესი საბჭო შინაარსობრივად და თვისობრივად ახალი ინსტიტუცია უნდა გახდეს

პირველი გვერდიდან

ფარგლებში, ვგეგმავთ და დიდი ნაწილი ნაბიჯებისა გადაიდგა შიდა ინსტრუმენტების ამოქმედების თვალსაზრისით, მათ შორის, ჩვენ შევქმენით სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელმაც არაერთი დოკუმენტის შესრულებაზე უნდა განახორციელოს ზედამხედველობა და გამოიყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მოგახსენებთ, რატომ გავაკეთეთ ეს დეპარტამენტის და არ სხვა დონეზე. უმაღლეს საბჭოში მომუშავეთა ძალიან დიდი ნაწილი დამოკიდებულია გარკვეულ ვადასთან, მოწვევასთან, საუბარი მაქვს დეპუტატებზე, თანაშემწეებზე, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე და მათ დამხმარე პერსონალზე. აქედან გამომდინარე, რომ არ წაშლილიყო ინსტიტუციური მეხსიერება, ეს ყველაფერი გადავიტანეთ პროფესიული საჯარო მოხელეების დონეზე. იმედი გვაქვს, რომ ამ სტრატეგიის სრულად შესრულების შემთხვევაში, 2024 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ჩამოყალიბდება ძლიერ ორგანიზაციად, რომელსაც აქვს ძალიან კარგი საკანონმდებლო მანდატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის, რომელსაც აქვს მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რაც მთავარია, რომელსაც ჰყავს კვალიფიციური ადამიანური რესურსი. ამ ყველაფრისთვის აქამდეც ბევრი რამ გაკეთდა და როგორც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები აღნიშნავენ, საკმაო წარმატებითაც, მაგრამ ამით, ბუნებრივია, არ გავჩერდებით და მგონია, რომ 2024 წლის ბოლოსათვის უმაღლესი საბჭო უკვე შინაარსობრივად, თვისობრივად ახალი და კიდევ უფრო ძლიერი ინსტიტუცია უნდა გახდეს, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი სტრატეგიების პრეზენტაცია და, ზოგადად, აჭარაში საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა დადებითად შეაფასა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკ ბერესფორდმა.

- პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მოხარული ვართ იმით, რასაც უმაღლესი საბჭო აკეთებს - პროექტებს, რომელიც თანამედროვე და განსხვავებულია. ასევე, მადლიერები ვართ ევროკავშირის, რომელიც ძალიან დიდი მხარდამჭერია როგორც გაეროს განვითარების პროგრამის, ისე ამ კონკრეტული საქმიანობების, რომელიც აჭარაში ხორციელდება. უპირველესად, ჩვენ, ალბათ, გავაგრძელებთ მუშაობას დემოკრატიული განვითარების მიმართულებით. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მიმართულებები არის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ევროკავშირისთვისაც და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესისთვის, იმისთვის, რომ სხვადასხვა ორგანო, მათ შორის, უმაღლესი საბჭო იყოს უფრო ახლოს ადამიანებთან და უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან, - აღნიშნა ნიკ ბერესფორდმა.

რუსეთმა საქართველოსთან სახმელეთო საზღვარზე შეზღუდვები მოხსნა

რუსებს საზღვრის გადაკვეთისთვის სპეციალური საფუძველი აღარ სჭირდებათ და მხოლოდ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სერტიფიკატის ან კორონავირუსის PCR ტესტის საბუთი უნდა წარადგინონ, რომელიც გამგზავრებამდე 72 საათით ადრე უნდა აიღონ. შეზღუდვების მოხსნის შესახებ ბრძანება ფედერაციის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რასაც რუსული Forbes-ი ავრცელებს.

საქართველოსთან სახმელეთო საზღვარი რუსეთმა, კორონავირუსის პანდემიის გამო, 2020 წლის მარტის ბოლოს დახურა. საქართველოს ხელისუფლებამ ის 2021 წლის ივნისში გახსნა. რუსეთის მთავრობის ახალი ბრძანებით, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე მოხსნილია გადაადგილების შემზღუდავი ზომები. შეზღუდვა აღარ გავრცელდება რუსებზე, რომლებიც საქართველოს გავლით სომხეთში, ასევე ეგრეთ წოდებულ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ტერიტორიებზე და ყირგიზეთში მიემგზავრებიან. Forbes-ის ცნობით, მარტში რუსეთმა ეს ზომები ყაზახეთსა და მონღოლეთში მგზავრობაზეც გააუქმა.

გამოცემას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემები მოჰყავს, რომლის მიხედვითაც წლის დასაწყისიდან აპრილამდე ქვეყანაში 105 000 რუსი ტურისტი შემოვიდა, რაც თითქმის ექვსჯერ მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როცა მათი რაოდენობა 18 000 მოგზაურს შეადგენდა. საქართველოში მოგზაურობის რაოდენობით რუსები მეორე ადგილზე არიან, პირველი ადგილი თურქეთის, მესამე კი სომხეთის მოქალაქეებს უჭირავთ.

Forbes-ს, ასევე, რუსების მიერ საზღვრის გადაკვეთის შესახებ ამა წლის პირველი სამი თვის მონაცემები მოჰყავს, რომელიც ფედერაციის მთავრობამ მაისის დასაწყისში გამოაქვეყნა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ჩასული რუსების რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა და, დაახლოებით, 38 000 ადამიანი შეადგინა. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჩასული რუსების რაოდენობა გაორმაგდა და 263 519 ადამიანი შეადგინა. ასევე ორჯერ მეტმა (204 947) რუსმა გადაკვეთა ყაზახეთის, სამჯერ მეტმა (134 ათასი) - სომხეთის, 4-ჯერ მეტმა (125 426) - ესტონეთის საზღვარი, ხოლო აზერბაიჯანს რუსეთის თითქმის სამჯერ მეტი - 56 475 მოქალაქე ეწვია.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/05/22, 21 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სევდიანი ფილმი ადამიანთა მარტოობასა და ერთად ყოფნაზე

კინორეჟისორ ზაზა ხალვაშის ფილმის „ლოტოს“ დახურული ჩვენება კინოთეატრ „აპოლოში“ თავიდან რეჟისორის დაბადების დღეს 17 მაისს იყო დაგეგმილი, თუმცა, როგორც განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ შესავალი სიტყვისას გვითხრა, ბოლო მომენტში გადაწყდა ჩვენება ქართული კინოს დღეს - 15 მაისს გამართულიყო

ფილმზე მის გამოსვლამდეც ბევრი ითქვა და დაიწერა, რადგან იგი ზაზა ხალვაშის ბოლო ნამუშევარია, რომლის გადაღებების დასრულებისთანავე გარდაიცვალა, მისი საბოლოო სახემდე მიყვანა კი ქალიშვილმა თამთა ხალვაშმა ითავა. ამგვარად, ბათუმელების ინტერესი დიდი იყო, მით უფრო, რომ ამავე დღეს გაიმართა ზაზა ხალვაშის წიგნების „მუჭში დამალული კენჭების“ (რეჟისორის ჩანაწერები) და „იქ, ჩემთან“ (კინოსცენარები) წარდგინებაც (გამომცემლობა - „ინტელექტი“). მასში ზაზა ხალვაშის შემოქმედებითი პოტენციალის კიდევ ერთი გამოვლინება პროზაული ნაწარმოებებია გამოქვეყნებული. როგორც გამომცემელმა ზვიად კვარაცხელიამ წარდგინებისას თქვა, ეს მართლაც, საყურადღებო პროზაა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზაზა ხალვაშის ნიჭიერებას ამ კუთხითაც შეაფასებენ. წიგნები ზაზას ოჯახის და ბათუმელების იდეით და ქალიშვილის - ქეთი ხალვაშის რედაქტორობით გამოიცა. ზაზას მეუღლე ნინო პაპუნიძემ თავის სიტყვაში გამოხატა ორმაგი მღელვარება - როგორც სასიხარულო, ისე სამწუხაროც, რაც ზაზას შემოქმედების ამ ნიმუშების უმისოდ წარდგინებას ახლდა თან.

შეკრებილებს მიმართა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, რომლის უწყების დაფინანსებით გამოიცა წიგნებიც და „ლოტოს“ გადაღებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

„აპოლოს“ ფოიეში იმდღევანდელი თავყრილობა, შეიძლება ითქვას, ბათუმის მომცრო მასშტაბის კრებით სახეს წარმოადგენდა, რადგანაც თავი მოეყარათ ბათუმის გამოკვეთილ ინდივიდებს. მათ შორის იყვნენ ფილმში მონაწილე არაპროფესიონალი მსახიობები, რომლებიც როლში სწორედ თავიანთი ინდივიდუალიზმის წყალობით მოხვდნენ.

მაშ, ასე, გადამღები ჯგუფის წარდგენის შემდეგ ფილმის ჩვენება დაიწყო. კამერამ ნელ-ნელა, დინჯად და დაკვირვებით დაგვანახა ზღვისპირა ქალაქის ერთი ეზო და მისი მცხოვრებნი: ერთმანეთზე მიყრილი უსახური კორპუსების ხედიდან კინოობიექტივმა ჯერ იტალიურ ეზოში შეიხედა, შემდეგ - თითოეული მცხოვრების სახლში. ამ ეზოს 21-ე საუკუნის არაფერი სცხია, აქ, ძირითადად, არცთუ დალხინებული ადამიანები ცხოვრობენ, თითოეული - თავისი პრობლემით, სევდით, ოცნებით და მარტოობით. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანი მთავარი პერსონაჟია და მიუხედავად ერთგვარად, დამთრგუნველი გარემოსი, რომელსაც ფილმში ვხედავთ (საწოლს მიჯაჭვულის აგრესიულობა მეუღლისადმი და ამ უკანასკნელის ამტანობა, ყოფის მონოტონურობას შეგუებული ცოლ-ქმარი, რომელთაგან ერთს უყვარს, მეორეს - არა, კრიმინალი და მისი ოჯახის დაულაგებელი ურთიერთობა, ოჯახური ძალადობა), სადაც სიმარტოვე, ერთმანეთისგან სიშორე სუფევს, მათ სიყვარულისკენ სწრაფვა აერთიანებთ. იტალიური ეზოს სიმჭიდროვეში სულიერად განცალკევებული ამ ადამიანების უმრავლესობის სულებში ცხოვრობს ოცნება სიყვარულსა და თავისუფლებაზეც, რომელსაც სწორედ სიყვარული განიჭებს. ზღვა, რომელიც საინტერესოდაა შემოყვანილი ფილმში, თითქოს ყოფიერების მჭიდრო ჩარჩოებიდან გათავისუფლების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

მევიოლინე შშმ პირის გატანჯული მეუღლის სიყვარულზე ოცნებობს, 15 წლის ბიჭუნა - მასზე უფროს ქალზე, ეზოს ერთადერთი ბობოლა მკვიდრის დედისერთა ქალიშვილს საკუთარი მამის მძღოლი შეუყვარდება და ცოლადაც წაჰყვება, თუმცა, როგორც ჩანს, ამაოდ, ოჯახი უკან დაიბრუნებს, მარტოხელა ქალის შვილი კი რეალურად იპოვის თავის გულისსწორს...

ფილმი ახლა იწყებს სიცოცხლეს. თამთა ხალვაშმა ბევრი გააკეთა, რათა ერთგვარად, მამის სულში ჩაეხედა და მისი ფილმი გაეცოცხლებინა. ვფიქრობ, მას ეს გამოუვიდა - „ლოტომ“ პირველი ნაბიჯი გადადგა, იგი რეჟისორის მშობლიურ ქალაქში ნახეს და მოიწონეს. წინ არის შეფასებები, ფესტივალები, რომლებზეც მომავალში დაიწერება, მანამდე კი პირველი შეფასება ბათუმელი კინომცოდნისგან ინგა ხალვაშისგან მოვისმინოთ: - ეს ფილმი ადამიანებზეა, რომლებსაც არ გაუმართლათ ცხოვრებაში, ცალ-ცალკე არიან და ყველა ერთმანეთისკენ მისასვლელ გზას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს, ყველას რაღაც ოცნება აქვს, მაგალითად, მევიოლინე ოცნებებში ხედავს თავის მეზობელ ქალს და ფიქრებში მასთან ერთად სასიყვარულო ისტორიას ქმნის... ახალგაზრდებს კი უფრო ნამდვილი ისტორიები აქვთ, უფრო გამბედავები აღმოჩნდნენ. მთლიანობაში ეს სევდიანი ამბავია და სიჩუმე, რომელიც ზაზას ძალიან უყვარდა, აქაც გასდევს ფილმს და ხაზს უსვამს გაუცხოებას. თითქოს ერთად არიან, მაგრამ მაინც ყველა ცალ-ცალკეა. ითქვა, რომ „ლოტო“ შავ-თეთრი ფილმია ფერად ისტორიებზე, მაგრამ ვფიქრობ, ეს მაინც სევდიანი შავ-თეთრი ისტორიებია. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ოპერატორის, ხმის რეჟისორისა და მემონტაჟის ნამუშევრები, ასევე - მსახიობების, რომელთა დიდი ნაწილი არაპროფესიონალია, მაგრამ ძალიან გულწრფელად მოაქვთ სათქმელი. ბოლო კადრშიც ზაზამ, როგორც ჩანს, ანა ხოფერიას ისე კარგად მისცა დავალება, რომ მან ასე ზუსტად შეასრულა - წერტილი დაუსვა ფილმს - ახალგაზრდა, რომელიც კლასიკური მუსიკის კონცერტზე იკეთებს ყურსასმენებს და „გადის“ ამ სივრციდან, გვაჩვენებს, რომ ეს ადგილი მისი არ არის, სხვაგან წასვლა უნდა იმ სიტუაციიდან, რომელშიც არსებობს. თითქოს კარგი ოჯახიდანაა, მაგრამ ფერადში, სიცოცხლეში უნდა გადასვლა...

მკითხველისთვის საინტერესო იქნება **თამთა ხალვაშთან** საუბარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

- თამთა, მღელვარებისთვის ყველაზე დიდი მიზეზი გქონდა, მამის ფილმის დამთავრება ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იქნებოდა შენთვის, იქიდან, რაც ჩაფიქრებული გქონდა, რა გამოგივიდა და რა - ისე ვერ, როგორც აპირებდი?

- ძალიან რთული კითხვაა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ზაზას ამ ჩანაფიქრს ძალიან სკრუპულოზურად მივყოლოდით. მის დღიურებს ვკითხულობდით დიდი დაკვირვებით, ფაქტობრივად, კვლევა ჩავატარეთ, რა შეიძლებოდა მონტაჟის დროს ზაზას მოსვლოდა აზრად. ამ ფილმის მთავარი სპეციფიკა არის მონტაჟი. ძალიან რთული ამოცანა გვქონდა, რადგან ესაა რთული დრამატურგიის ფილმი, რომელიც ერთი შეხედვით, მარტივი შეიძლება ჩანდეს. მისი ყველა პერსონაჟი არის თანაბრად მნიშვნელოვანი, ანუ ფილმს არ ჰყავს მთავარი გმირი, რომლის გარშემოც შეიძლებოდა ამ მონტაჟის აწყობა. ყველა გმირის თანაბრად ჩვენება ისე, რომ შეკრა საერთო მოზაიკა, თან დრამატურგია არ დაკარგო, მონტაჟის თვალსაზრისით, ტექნიკურად ძალიან რთული იყო. არაფერს ვამბობ ემოციურ მხარეზე, როდესაც გიწევს შენთვის ძვირფასი, ფილმის შემქმნელი ადამიანის გარეშე მუშაობა. ყველანაირად ვეცადეთ, რომ გამოგვსვლოდა ის, რასაც ზაზა ჩანაწერებში, ოჯახში, მეგობრებში ამ ფილმის შესახებ გვიზიარებდა.

- გარდა იმისა, რომ ფილმი, როგორც ზაზა ამბობდა, მართლაც, სიყვარულზეა, ზოგი საოცნებოზე, ზოგი ახდენილზე ან აუხდენელზე, ფილმში ულერს სიმარტოვის, სევდის თემაც, სიმარტოვის განცდითვე მთავრდება, როცა ახალგაზრდა გოგონა ყურსასმენებს იკეთებს და ეთიშება იმ სამყაროს, რომელიც არ მოსწონს, ასეთი ფინალიც ჩანიშნული ჰქონდა ზაზას?

- არა, ასე კონკრეტულად არა. ეს ფილმი, როგორც ზაზას ყველა ნამუშევარი, არის განწყობის, მაგრამ მასში განწყობის მთელი პალიტრაა - სიკეთით სავსეცაა, ურთიერთობების სიმსუბუქითაც, მაგრამ ახლავს ბევრი სიმძიმეც, სადღაც მისტიკაც არის, სადღაც - კრიმინალიც, სადღაც სიყვარულიც, რომელსაც ყველა ეძებს და კიდევ ერთი განწყობა, რომელიც ამ ფილმში (ჩემთვის ყოველ შემთხვევაში) იყო გამოხატული, ესაა სიმარტოვე და იგი ყველა ამ ოჯახში სხვადასხვა ფორმით ჩანს - ტანიას ქმარი თავისი უბედურების (შშმ პირია) გამოა მარტო და ამას აგრესიულობით გამოხატავს, ზოგ შემთხვევაში ესაა თაობათა შორის ხლეჩვა, ახალგაზრდების სიმარტოვე, რასაც მუსიკალურ სამყაროში ჩაკეტვით და ამ რეალობისგან გამიჯვნით გამოხატავენ, თუმცა, საბოლოოდ, მაინც ერთად სხედან და უსმენენ კონცერტს, შესაბამისად მათ შორის მაინც არის კავშირი. ეს ფილმიც, მგონი, ამაზეა, რომ მიუხედავად ემოციების ასეთი პალიტრისა, სადაც თითქოს ერთმანეთთან წინააღმდეგობაა გამოხატული, საბოლოოდ ისევ ეს ემოციები აერთიანებს ამ ადამიანებს. ვინაიდან ერთ-ერთი ემოციური ხაზი ამ ფილმისა არის სიმარტოვე, გადვწყვიტეთ, ბოლო კადრით, სადაც ახალგაზრდა გოგონა უსმენს მუსიკას, ამისთვის ხაზი გაგვესვა. ვფიქრობ, ზაზასთვის სიმარტოვე იყო მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რომელშიც თვითონ ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს და უყვარდა...

- ჩუმი დაკვირვებაც ამ თავისი სიმარტოვიდან...

- კი, და ეს გრძნობა გამოვყავით, როგორც ზაზასთვის დამახასიათებელი. იგი მარტოობას ყოველთვის ელტვოდა.

- ზაზამ ჩვენთან ინტერვიუში თქვა, რომ ეს ფილმი არ არის ბათუმზე, რაზეც მანმადე მედიაში ვსაუბრობდით, არამედ სიყვარულზეა, მაგრამ ფილმში, ფინალისკენ, ისმის მელოდია სიმღერიდან ბათუმზე, როგორც ჩანს, ბათუმის სიყვარული ამგვარად მაინც გამოხატეთ, არა?

- კი. იცი, რამ გვიბიძგა, რომ სიყვარული ამგვარად გამოგვეხატა? თვითონ მევიოლინე ფილმში უკრავს ამ მელოდიას სიმღერიდან „ბათუმს ქათქათას“ ბოლოში, როდესაც უკვე ქორწილის ეპიზოდია. უმნიშვნელოვანესი მუსიკალური ხაზია, რადგან, ფაქტობრივად, მთელი ფილმი იკვრება ამ ქორწილის ეპიზოდში, შემაჯამებელია ერთგვარად. ვიფიქრე, ემოციურად ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზაზას ჩანაფიქრით, „ლოტო“ არ არის ფილმი ბათუმზე, ეს ბგერები მეტყველებს ამ ქალაქის სიყვარულზე, რადგან მელოდია თავად ზაზამ შემოიტანა ფილმში, მან გადაიღო მევიოლინის ეპიზოდი, სადაც ამ მუსიკას უკრავს. ზაზას გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი არქივების დალაგებისას სოფელში, სახლის მესამე სართულზე, რომელსაც აქ შენახული აუარება მასალის გამო კოსმოსს ვეძახით, აღმოვაჩინეთ ფრიდონის ლექსზე დაწერილი რევაზ ლაღიძის სიმღერა (დაბეჭდილი ნოტებით) ბათუმზე, რომელიც, ასე ვთქვათ, დაკარგული იყო, რადგან აღარსად ულერდა და მიივიწყეს. დაახლოებით, წინა საუკუნის 60--70-იან წლებში შეიქმნა. დავინტერესდით და ეს სიმღერაც, რომელიც მოვიძიეთ აჭარის რადიოს არქივში, ისმის ფილმში, ლიმუზინის ეპიზოდში.

- ფილმი იწყებს ცხოვრებას, რა პერსპექტივები ჩანს ამ ეტაპზე ფესტივალებზე, საერთაშორისო ეკრანებზე გატანის თვალსაზრისით?

- ავსტრიული საერთაშორისო გაყიდვების კომპანია დაინტერესდა, რათა გაიტანოს ფესტივალებზე, გაგზავნილია რამდენიმე ფესტივალზე და ველოდებით პასუხებს.

წიგნის წარდგენასა და ფილმის ჩვენებასაც, ცხადია, ზეიმთან ერთად სევდად გასდევდა ზაზა ხალვაშის არყოფნა... 65 წლისა გარდაიცვალა და ჯერ ბევრის გაკეთება შეეძლო... გუშინ ზაზას დაბადების დღეც იყო და მისი სულმნათი მამის - ფრიდონ ხალვაშისაც, რაც საგანგებოდ აღნიშნა ბათუმის საზოგადოებრიობამ. 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედაც აკურთხა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ. სიმბოლურია ასეთი დამთხვევა, რაც სრულიად შეესაბამება ზაზას, მისი ოჯახის ნათელ და დიდ საქმეებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი ახალი, ჩუმი სიბრძნით, მდუმარებითა და დაკვირვებით სავსე ფილმი მოივლის მსოფლიოს და ახალ გამარჯვებებს მოუტანს მის ოჯახს, საქართველოს.

მარინა მითაიშვილი